გაზეთი ზოგისთვის, „ვერსია“ ყველასთვის

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№54 (1080) 18 – 19 მაისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## კულტურის მინისტრი შესაძლოა საერთაშორისო სკანდალში გაეხვიოს

„მთავრობა მკვდარ გია კაჭარავას მიიღებს!“ — რეჟისორის ცისფერი მთები ანუ რატომ ვერ მოხვდა კანში

გვ. 9

# მიშა უკრაინაში რუსულ ინტერესებს ატარებს?!



შვედეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის, სააკაშვილის მეგობარ კარლ ბილდტის მოსკოვური ბეგრაუნდი

გვ. 2

## გია ვოლსკის ეროვნების შეცვლა შესთავაზეს



ღამეული სტუმრობა და „სეიფი“ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარესთან

გვ. 4–5

არა–ჩვეულებრივი ინტერვიუ

## ნიკუშა შენგელაია: „ივანიშვილს ჩემთვის იმედი არ გაუცრუებია!“

გვ. 8

## NDI-ს საქართველოს ოფისის დირექტორის აღიარება

„ადამიანები შეიძლება, მარტივად დაბნეულიყვნენ, რადგან ქართულში სიტყვები ერთმანეთს ჰგავს...“

გვ. 2

## ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი კადრსმილმა

გვ. 6

ცნობილი ადამიანები ზაზა აბაშიძეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე არჩევას ულოცავენ

## ოდესაში მხედრიონელი ზურა ჩაცხრილეს

კრიმინალურ ავტორიტეტ გენოს ოჯახური ტრაგედია

გვ. 10



## პოლიტიკური თამაშები

# მიშა უკრაინაში რუსულ ინტერესებს ატარებს?!



შვედეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის, სააკაშვილის მეგობარ კარლ ბილდტის მოსკოვური ბეგრაუნდი

ნინო ბარბაქაძე

**აგვისტოს ბოლოს უკრაინა დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. სწორედ ამ დღისთვის, უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ საინტერესო ინიციატივა მიიღო — ქვეყანაში ნაცისტური და კომუნისტური სიმბოლიკების პროპაგანდა აიკრძალა. მოკლედ, აგვისტომდე უნდა მოესწროს და თუ სადმე, რომელიმე ფასადზე ნამგალი და ურო გამოსახული ან ფაშისტური სვასტიკა, უნდა მოიხსნას, წაიშალოს, რესტავრაცია გაუკეთდეს. ამით პოროშენკომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისთვის რუსეთი ფაშიზმთან ასოცირდება და ასოცირდება იმის გამო, რასაც რუსები უკრაინის ტერიტორიაზე სჩადიან. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილმა უკრაინასა და რუსეთს ე.წ. კოჰაბიტაცია მოუწყო და შუაში შვედეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, თავისი მეგობარი კარლ ბილდტი ჩაჩხირა.**

მოკლედ, ცოტა ხნის წინ ბილდტი რუსული ნავთობკომპანიის მრჩევლად დაინიშნა. ამის შესახებ ნავთობკომპანიის მფლობელმა, მიხაილ ფრიდმანმა თავად განაცხადა და დაადასტურა, რომ ბილდტის გამოცდილება და კავშირები მისი კომპანიისთვის აშკარად სასარგებლო იქნება. აქვე შეგახსენებთ, რომ ფრიდმანი რუსეთში უმდიდრეს ადამიანთა სიაში მეორე ადგილს იკავებს და ქვეყნის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის უახლოეს მეგობრად ითვლება. თითქოს ამაში უცნაური არაფერია, უმუშევარი ბილდტის დასაქმებაზე რუსეთმა იზრუნა, მაგრამ ერთი დღით ადრე იგივე ბილდტი უკრაინაში დასაქმდა. უფრო კონკრეტულად კი, რუსული ინფორმაციის გასაჯაროებამდე 1 დღით ადრე, 2015 წლის 13 მაისს, უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულებით, კარლ ბილდტი პეტრო პოროშენკოს რეფორმების მრჩეველთა საბჭოს წევრად დაინიშნა. ამ საბჭოს კი ვინ ხელმძღვანელობს?! სწორია — მიხეილ სააკაშვილი. ბარემ იმასაც გეტყვით, რაც შესაძლოა, ბევრმა თქვენგანმა არ იცოდეს — 2001 წელს, ბილდტი ბერმუდის კუნძულებზე დარეგისტრირებული ოფშორული რუსული კომპანია „ვოსტოკ ნაფტა ინვესტმენტის“ აქციონერი და მმართველი კაბინეტის წევრი გახდა. ეს კომპანია მართავდა „გაზპრომისა“ და „როსნეფტის“ აქტივებს რუსეთის საზღვრებს გარეთ.

როგორია? თამამად შეიძლება ითქვას, ბილდტს რუსეთში პირდაპირი ინტერესი აქვს, მაგრამ ასევე ვალდებულია, პოროშენკოს ისეთი რამ ურჩიოს, რაც სარგებელს უკრაინას მოუტანს და არა — რუსეთს. ეს კი ბილდტს, უბრალოდ, არ აწყობს და რა გამოდის?! რა და ის, რაც აქამდე გამოსულა.

ბილდტისა და სააკაშვილის ურთიერთობაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა. პიარის კომპანია „კრეაბი“, რომელსაც ბილდტი პოლიტიკაში წასვლამდე ხელმძღვანელობდა, შემდგომში საქართველოს წინა ხელისუფლების მთავარი ლობისტი გახდა და მის ანგარიშზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით ევრო ირიცხებოდა. სწორედ „კრეაბი“ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ყველა არჩევნები სუფთად მოიგო და ეს მაშინ, როცა საქართველოში შვედეთის ელჩმა ჰანს გუნარ ადენმა პირდაპირ მიუთითა, რომ არჩევნები მინიმუმ უკეთესის სურვილს ტოვებდა.

**„ხანდახან კვლავ გაისმის კრიტიკა სააკაშვილის რეჟიმისა და გარკვეული ლობისტების მიმართ, რომელსაც სააკაშვილი დიდ ფულს უხდიდა. მათ შორის ასახელებენ ხოლმე ხშირად ბილდტს და „კრეაბს“. საქართველოში ზოგადად ცნობილია, რომ ბილდტი სააკაშვილის ძალზე ახლო მოკავშირე იყო, ხოლო „კრეაბი“ სააკაშვილისთვის მუშაობდა“,** — აცხადებდა ჰანს გუნარ ადენი.

მოქმედ ელჩს ყოფილი სწორედ მას შემდეგ დაერქვა, რაც არჩევნების შესახებ შენიშვნები ღიად დააფიქსირა. ბილდტმა იგი საქართველოდან ვადაზე ადრე გაიწვია და სააკაშვილს თავისტკივილი მოუხსნა.

შვედური გამოცემა „აფტონბლადეტი“ კარლ ბილდტის ირგვლივ შექმნილ სკანდალზე ხშირად წერს და არ მალავს, რომ ბილდტი და სააკაშვილი ერთმანეთთან არამარტო მეგობრული ინტერესებით იყვნენ დაკავშირებულნი. ერთ-ერთ სტატიაში ნათქვამია, რომ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველი და მისი უახლოესი გარემოცვის წევრი ულოფ ერენკრონა, საქართველოსთვის კომპანია „კრეაბში“ მუშაობის პარალელურად, სახელმწიფო სამსახურშიც მსახურობდა. „აფტონბლადეტმა“ ის ხელშეკრულება დადო, რომელიც „კრეაბსა“ და საქართველოს შორის 2006 წლის ნოემბერშია დადებული ერთი წლის ვადით. ხელშეკრულებაში მითითებულია „კრეაბის“ სტრატეგიული მრჩეველი ულოფ ერენკრონა, ეს ხდება სამი კვირით ადრე, ვიდრე იგი საგარეო საქმეთა სამინისტროში ბილდტის უახლოეს მრჩევლად დაინიშნებოდა.

საქართველოს მთავრობის თანახმად, არსადაა მითითებული, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ჯგუფის შემადგენლობაში ცვლილებები მოხდა, თუმცა ერენკრონა ამტკიცებს: „როდესაც მთავრობაში შევედი, მე არავითარი პარალელური ფუნქციები არ მქონია“.

„აფტონბლადეტმა“ ის დოკუმენტებიც გამოაქვეყნა, რომლებიც ასახავს 2006-2007 წლებში 18 მილიონი კრონის ოდენობის გადარიცხვებს საქართველოს მთავრობიდან „კრეაბში“. ეს არის მცირე ნაწილი იმისა, რაც საქართველოს ხელისუფლებამ „კრეაბისთვის“ „გაიმეტა“ და ნუ გაგიკვირდებათ, თუ იგივეს მალე უკრაინის ხელისუფლებაც დაიწყებს და პიარკომპანია „კრეაბი“ ამჯერად უკრაინულ მილიონებს მიიღებს.

## გამოკითხვის კვალდაკვალ

# NDI-ს საქართველოს ოფისის დირექტორის აღიარება



### „ადამიანები შეიძლება, მარტივად დაბნეულიყვნენ, რადგან ქართულ ენაში სიტყვები ერთმანეთს ჰგავს... შესაძლოა, ეს ინფორმაციის ნაკლებობითაა გამოწვეული!“

გიორგი იაშვილი

**მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ არაერთხელ დაადასტურა თავისი სწრაფვა ევროპული ოჯახისკენ, ოპონენტები ჯიუტად ამტკიცებენ, რომ საქართველომ საგარეო კურსი შეიცვალა. და ეს იმის ფონზე, როცა ხელისუფლება მუდმივად აფიქსირებს, რომ კურსის ცვლილება არც კი განიხილება. არადა, 12 მაისს NDI-ს მიერ გამოქვეყნებული კვლევების შედეგებში ჩანს, რომ ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მომხრეთა რიცხვი საგრძნობლადაა გაზრდილი. ზოგადად, NDI-ს კვლევები საქართველოში არასოდეს მიიჩნეოდა რეალობასთან ახლოს მდგომად, მაგრამ გამოკითხვებს მხოლოდ ეს ორგანიზაცია ატარებს და შესაბამისად, იძულებულნი ვართ, სწორედ მის მიერ მოწოდებული შედეგები განვიხილოთ.**

ის, რომ საქართველოში მთავარი პრობლემა ინფლაცია და უმუშევრობაა, გამოკითხვაც არ უნდა, ამას არავინ მალავს, მაგრამ ევრაზიულ კავშირში საქართველის გაწევრიანების მომხრეთა რაოდენობა რომ გაიზარდა, აშკარად საეჭვოდ მოსჩანს. მიუხედავად ამისა, კვლევის შედეგები ოპერატიულად შეაფასეს ოპოზიციის წევრებმა და აღნიშნეს, რომ მათი ვარაუდი, კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით, აშკარად ახლოსაა რეალობასთან.

აღნიშნულ კვლევას გამოეხმაურა პრეზიდენტიც. გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ NDI-ს მიერ ჩატარებული ბოლო კვლევა, რომლის თანახმად, 31%-სთვის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება მისაღებია, მისთვის მნიშვნელოვან ტენდენციას ასახავს. პრეზიდენტის მტკიცებით, ევრაზიული კავშირის მიმართ მხარდაჭერის გაზრდამ, პოლიტიკური ძალები პროდასავლური იდეის გარშემო უნდა გააერთიანოს.

პრეზიდენტს მხარი საპარლამენტო ოპოზიციამ აუბა და გამოაცხადა, რომ ევროპული იდეის დასაცავად პოლიტიკური ძალების უმეტესობა ისედაც აქტიურია, პრორუსული განწყობის შექმნას და პროპაგანდის გაძლიერებს კი თავად ხელისუფლება უწყობს ხელს.

საინტერესო კომენტარი გააკეთა დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა, ნინო ბურჯანაძემ. იგი მიიჩნევს, რომ ევრაზიული კავშირის მიმართ ინტერესი 31%-ზე გაცილებით მეტს აქვს და ეს თავად დასავლელი პარტნიორების არასწორი ქმედებების შედეგია.

სხვადასხვა გამოცემამ ეს თემა მეორე დღეს მთავარ „სენსაციად“ აქცია. მხოლოდ მშრალი ციფრები კი არა, ისიც დაიანგარიშეს, ხელისუფლებისა და ოპოზიციის მომხრეთა რამდენი პროცენტი უჭერს მხარს ევრაზიულ კავშირს და გაარკვიეს, რომ „ქართული ოცნების“ მომხრეების 39%-ს და ნაციონალური მოძრაობის 23%-ს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება სურს.

საინტერესო მოსაზრება გამოთქვა NDI-ს საქართველოს ოფისის დირექტორმა ლორა თორნტონმა.

**„ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით კითხვა დასმული იყო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და NATO-ში გაწევრიანების მხარდაჭერასთან ერთად. ამის გამო ადამიანები შეიძლება, მარტივად დაბნეულიყვნენ, რადგან ქართულ ენაში ეს სიტყვები ერთმანეთს ჰგავს. ასევე ვფიქრობ, შესაძლოა, ეს ინფორმაციის ნაკლებობითაა გამოწვეული. ჩემთვის უფრო საინტერესოა ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ დასმული ის კითხვები, რომლებიც სარგებელს ეხება. მოსახლეობის დაახლოებით 68% უჭერს მხარს ასოცირების ხელშეკრულებასა და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს, მაგრამ ამ პროცესიდან საქართველოსთვის სარგებელს მხოლოდ 49% ხედავს მაშინ, როცა იზრდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც სარგებელს ვერ ხედავენ. ვფიქრობ, მეტი ყურადღება სწორედ მოსახლეობისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდებას უნდა დავუთმოთ — რას ნიშნავს ევროატლანტიკური ინტეგრაცია, რა სარგებელი შეიძლება ქვეყანამ მიიღოს და რას უნდა ელოდეთ. ვფიქრობ, მოსახლეობას უკეთ უნდა ავუხსნათ, რას ნიშნავს ეს ორგანიზაციები და ამ 31%-ზე არ უნდა ვფოკუსირდეთ“,** — ეს სიტყვები თორნტონმა „ტაბულას“ უთხრა.

შეგახსენებთ, რომ ევრაზიულ კავშირში საქართველოს გაწევრიანებას, NDI-ს აგვისტოს გამოკვლევის თანახმად, 20 პროცენტი უჭერდა მხარს, 2013 წლის ნოემბრის კვლევის თანახმად კი, მხოლოდ — 11.

# რესპუბლიკელები დაცემისთვის აღაზევეს?

## ვახტანგ ძაბირაძის რჩევები „ოცნებას“



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**უნდა თუ არა ხალხს ბიძინა ივანიშვილის აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნება, რატომ ვერ მოიპოვებს „ოცნება“ გამარჯვებას ვადამდელი არჩევნების გარეშე, რას ნიშნავს რესპუბლიკელების ბოლოდროინდელი „პოლიტაღზევება“ და რა შემთხვევაში დაბრუნდებიან ხელისუფლებაში ნაციონალები? — „ვერსიის“ კითხვებს კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე პასუხობს.**

**— ბატონო ვახტანგ, პარლამენტის ბოლო რამდენიმე სხდომა ჩაიშალა: იზიარებთ მოსაზრებას, რომ უმრავლესობა მხოლოდ პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად და მთავრობის დასამტკიცებლად იკრიბება?**

— პარლამენტის როლი, მოქმედი კონსტიტუციით, ძალიან დიდია. ის, რომ ზედიზედ რამდენიმე სხდომა ჩაიშალა, სამწუხარო კი არა, უფრო საინტერესოა — რეალურად, საქმე რასთან გვაქვს, მით უმეტეს, უმრავლესობას 84 კაცი ჰყავს და მობილიზება თავისუფლად შეუძლია, მაგრამ სხვა პროცესები მიდის და ეს მხოლოდ ქუთაისში ჩასვლა-არჩასვლას აღარ ეხება. სასურველია, პარლამენტი უფრო აქტიური და პოლიტიკური იყოს, ვიდრე დღესაა.

**— ამასობაში, „ოცნებას“ თამარ კორძაია გამოაკლდა. ეს მმართველი პარტიის დაშლის დასაწყისია თუ რესპუბლიკელების „აღზევების“ განმტკიცება, მით უმეტეს, ბოლო დროს ორი რესპუბლიკელი გამინისტრდა?**

— ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ რესპუბლიკელების აღზევების ხანა დადგა. მათ მიერ მინისტრების პორტფელების აღება ბუნებრივი და პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, პირველ რიგში, სწორედ „ოცნების“ მხრიდან, თუმცა ვერც ერთი მინისტრი და ვერც ცალკე აღებული უწყება ქვეყანაში ვითარებას ვერ შეცვლის. ეს მთელმა კაბინეტმა უნდა გააკეთოს. მთავრობა პოლიტიკური ორგანო უნდა იყოს, თუმცა სამწუხაროდ, ტრადიცია გრძელდება და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, პოლიტიკურზე მეტად, სამეურნეო ნაწილია წამოწეული. ეს ნაზავი კი ეფექტურად არ მუშაობს. რომელ აღზევებაზეა საუბარი, როცა რესპუბლიკელებს სულ 9 დეპუტატი ჰყავთ და არა საპარლამენტო უმრავლესობა. ეს „აღზევება“ შეიძლება, ძალიან სწრაფად შეიცვალოს. ბოლო ბოლო, კონსტიტუციით, ირაკლი ღარიბაშვილს შეუძლია, პარლამენტის დაუკითხავად, 6 მინისტრი შეცვალოს. თავდაცვის წინა მინისტრთან კითხვები არსებობდა, ხიდაშელის იქ მისვლა კი რამდენიმე სტერეოტიპს ამსხვრევს და არც მის პროდასავლურ კურსში შეაქვს ვინმეს ეჭვი.

**— ცოტა ხნის წინ, ბიძინა ივანიშვილი რესპუბლიკელებს თითს უქნევდა, პარტიის ლიდერები კი ამბობდნენ, მიგვანიშნეს, კოალიცია დატოვეთო. ახლა თანამდებობების ჩამორიგება იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ეშინიათ, კოალიცია კიდევ ერთმა გამოკვეთილმა პროდასავლურმა ძალამ არ დატოვოს?**

— ეს ვარიანტი აბსოლუტურად რეალურია. გულწრფელად რომ ვთქვათ, რესპუბლიკელები კოალიციიდან თუ გავლენ, „ოცნება“ პოლიტიკური გუნდის ელფერს მნიშვნელოვნად დაკარგავს, თუმცა არ მგონია, ეს ფაქტორი გადამწყვეტი იყოს. ვფიქრობ, მინისტრთა კაბინეტი გაპოლიტიკურებას საჭიროებდა და ეს გადაწყვეტილება ამიტომაც მიიღეს, თუმცა არ მგონია, რესპუბლიკელებისთვის თანამდებობა განმსაზღვრელი იყოს. თუკი მათთვის ქვეყნის კურსი მიუღებელი იქნება, მშვიდად დატოვებენ იმ თანამდებობებს, რომელზეც ახლახან დანიშნეს.

**— რაკი საგარეო კურსს შევეხეთ, NDI-ს კვლევებზეც გკითხავთ, რომლის შედეგებითაც, ევრაზიის კავშირის მომხრეთა რიცხვი სამჯერ გაიზარდა. ამის მიზეზი რა არის?**

— ცალკე საკითხია, ამ კვლევებს ვენდობით თუ არა, მაგრამ ტენდენცია, საითაც პროცესი მიდის, სწორადაა ასახული. 31% არცთუ საგანგაშოა, თუ მის საპირწონე 68%-ს გავიხსენებთ, რომელსაც ევროკავშირში შესვლა სურს. ჩემი აზრით, ამ მაჩვენებლის ზრდა ხელისუფლების კურსმა კი არა, იმ ფაქტორმა განაპირობა, რაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ხდება და ამ შემთხვევაში, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს ვგულისხმობ. ალბათ, ისიც მოქმედებს, რომ ამ ხელისუფლების მიმართ მოლოდინი ძალიან მაღალი იყო, მაგრამ არაფერი შეიცვალა, ხალხი იმედგაცრუებული დარჩა და გაჩნდა ნოსტალგია ძველი ურთიერთობებისადმი. ვიღაცებს ისევ აქვთ იმედი, რომ რუსეთთან კავშირით ეკონომიკური პრობლემები მოგვარდება. კარგი იქნებოდა, ამ 31%-ის წვლოვანება გვცოდნოდა — მეეჭვება, ისინი ახალგაზრდები იყვნენ. ვფიქრობ, ევრაზიულ კავშირზე უფრო ჩემი და ჩემზე უფროსი თაობა ფიქრობს.

**— ხელისუფლებას საქმე არც პოლიტიკურ რეიტინგებში აქვს სახარბიელოდ — არჩევნებიდან სამი წლის თავზე, „ოცნებისა“ და ნაციონალების რეიტინგი მხოლოდ 8%-ით განსხვავდება. გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს, 30%-ს კი არავინ მოსწონს. ეს ნაციონალების მობრუნების პერსპექტივაა თუ ახალი ძალის გაჩენის მოთხოვნა?**

— სხვათა შორის, „ოცნების“ რეიტინგის ასეთი სწრაფი ვარდნა ძალიან საეჭვოა, რადგან ცოტა ხნის წინ ჩატარებულ გამოკითხვებში, ამ ძალას 36% ჰქონდა, ახლა კი 24% აქვს. ტენდენცია ისევ სწორია, ხელისუფლების რეიტინგი იკლებს, მაგრამ ორ თვეში 12%-ის დაკლება მაინც არარეალური მგონია. ამ სურათიდან ჩანს, რომ მოსახლეობა ემიჯნება „ქართულ ოცნებას“, ამაზე ის 30%-იც მეტყველებს, ვინც არ იცის, ვინ მოსწონს. არ ნიშნავს, რომ ეს ნაწილი „ოცნებასთან“ აპრიორი დაპირისპირებულია, არც იმას ნიშნავს, რომ ეს 30% ხმას ნაციონალებს მისცემს, თუმცა ხვალ-ზეგ ხალხის ეს ნაწილი აუცილებლად დაუპირისპირდება „ქართულ ოცნებას“ და ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენის აუცილებლობაც რეალურად მაშინ დადგება.

**— ნაციონალებს რევანშის შანსი აქვთ?**

— არა, სტაბილურ გარემოში ნაციონალების დაბრუნება გამორიცხულია! მათ მთავარ ოპოზიციურ ძალად ასახელებენ, მაგრამ არ ნიშნავს, რომ ამომრჩეველი ამ ძალისკენ წავა. ჩემი აზრით, უფრო მოსალოდნელია, იმედგაცრუებული ხალხი არჩევნებზე საერთოდ არ მივიდეს, თუმცა ბიძინა ივანიშვილს ჯერ კიდევ აქვს საკმარისი გავლენა და რეიტინგი, ამომრჩევლის დიდი ნაწილი „ქართული ოცნებისკენ“ შემოაბრუნოს. ცოტა ხანში, ახალი პოლიტიკური ძალის მოთხოვნა მართლაც გაჩნდება ან ყველა პოლიტიკური ძალა თითქმის თანაბრად იქნება წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოში და უმრავლესობის დაკომპლექტება ძალიან გაჭირდება. თუ მმართველ გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაიწყება და დღევანდელი ვითარება 2016 წლამდე გაგრძელდება, მეეჭვება, ვითარება „ოცნების“ სასარგებლოდ თუნდაც ივანიშვილმა შემოაბრუნოს. ვფიქრობ, ამის შანსი მხოლოდ შემოდგომით, ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში არსებობს. 2016 წელს კი „ოცნების“ მიერ რეალური უმრავლესობის დაკომპლექტება, ჩემი აზრით, გამორიცხულია.

**— სხვათა შორის, გამოკითხვებში ივანიშვილზე საგულისხმო კითხვა იყო, მის როლს სად ხედავთო. თუკი აქამდე ხალხი ერთხმად ითხოვდა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას, ახლა გამოკითხულთა უმრავლესობამ უპასუხა, რომ იგი პოლიტიკაში საერთოდ არ უნდა ჩაერიოს. „ოცნების“ გამარჯვებას ივანიშვილის ფაქტორი თუნდაც ვადამდელ არჩევნებზე ეყოფა?**

— ჯერჯერობით, ბიძინა ივანიშვილს გამარჯვების რესურსი აქვს, თუმცა არა ისეთი, როგორც 2012 წელს ჰქონდა. ახლა მხოლოდ ივანიშვილის ფაქტორი საკმარისი აღარ იქნება და საჭიროა სამი კომპონენტი: ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები კოალიციაში და პირველ რიგში, მის პერსონალურ შემადგენლობაში. პარლამენტში შესაბამისი გამოცდილების მქონე მეტი პოლიტიკოსი უნდა შევიდეს. ასევე, „ოცნების“ მთავრობამ სერიოზული ეკონომიკური გარღვევა უნდა მოახდინოს, თუნდაც ლარის კურსის გამყარების კუთხით და ამას უნდა დაემატოს ივანიშვილის ფაქტორი. ყველაფერი ეს შემოდგომამდე უნდა მოხდეს, თორემ წელიწადნახევრის შემდეგ ველარც ბიძინა ივანიშვილი შეძლებს მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვებას. შესაძლოა, „ოცნება“ პარლამენტში ყველაზე დიდ ფრაქციად ისევ შევიდეს, თუმცა უფრო დიდი წარმატების მიღწევა უკვე ძალიან გაუჭირდება.




## ირაკლი ღარიბაშვილი: „მთავრობამ და ბიზნესმა ყველა რეგიონი ფეხზე უნდა დავაყენოთ!“

ოზურგეთში, ბიზნესმენებსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა იმ პროექტებზე ისაუბრა, რისი განხორციელებაც გურიის რეგიონში შეიძლება.

**„გამოიკვეთა ძირითადი მიმართულება, ეს არის სოფლის მეურნეობა, წარმოების განვითარება, ტურიზმი. აქ ჩვენ შეგვიძლია მეფრინველეობის, მებოცვრეობის განვითარება, რძის, ხორცის, ხილბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოების განვითარება, მეფუტკრეობა, თხილის, კაკლის, წაბლის მოყვანა, რომელიც ძალიან რენტაბელურია; მეთევზეობის განვითარება, მაღალმარჟიანი კულტურების, მაგალითად ლურჯი მოცვის მოყვანა-გადამუშავება“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, გურიაში არის ხილის, ნატურალური წვენების, ეთერზეთების, ტუნგოს, ავეჯის, ტექსტილის წარმოებისა და სხვა პოტენციალი და გურია არ უნდა იყოს გაღარიბებული.

**„რეალური პერსპექტივა არსებობს ამ რეგიონში და არ უნდა იყოს გურია ასეთი გაღარიბებული. ეს არის დანაშაული პირდაპირი მნიშვნელობით და ჩვენ – მთავრობამ, ბიზნესმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ და ფეხზე დავაყენოთ ყველა რეგიონი“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

***„ინტერპრესნიუსი“***



## სირიაში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა

არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილი პანკისის ხეობის სოფელ წინუბნის მკვიდრი, 32 წლის გურამ ცათიაშვილია. ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის, მათე ქავთარაშვილის ინფორმაციით, ცათიაშვილი ორი დღის წინ გარდაიცვალა.

***„ინტერპრესნიუსი“***

### ვერსიანიუსი



## პატრიარქი ექიმებს მიმართავს

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მიმართავს ყველას, რომ შეწყდეს საქართველოში აბორტები. საკვირაო ქადაგებისას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა აბორტების თემაზე გაამახვილა ყურადღება და განსაკუთრებით ექიმებს მიმართა. მისი განცხადებით, აბორტის გაკეთება არის უდიდესი და საშინელი ცოდვა:

**„უნდა მივმართო ყველას, რომ შეწყდეს აბორტები საქართველოში. უნდა გახსოვდეთ, რომ აბორტი არის შვილის კვლა. ეს არის უდიდესი ცოდვა და განსაკუთრებით მინდა მივმართო ექიმებს, რომლებიც აბორტებს აკეთებენ, ეს არის უდიდესი და საშინელი ცოდვა თქვენთვის, ამიტომ უნდა შეწყდეს აბორტები და ღმერთი რამდენ შვილსაც მისცემთ, იმდენი შვილი უნდა იყოლიონ“.**

***„ინტერპრესნიუსი“***

# გია ვოლსკის ეროვნების შეცვლა შესთავაზეს

## ღამეული სტუმრობა და „სელფი“ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარესთან



ვანო პავლიაშვილი

**...23 საათია... თბილისის პარლამენტში ისეთი საქმიანი იერით შევდივარ, თავი, მინიმუმ, საშუალო დონის ჩინოვნიკი მგონია... რამდენიმე წუთში ხათუნაც მოდის, ჩარკვიანი. ხათუნა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, გია ვოლსკის, როგორც იტყვიან, პრესსამსახურის ხელმძღვანელია... ფრაქციის ოთახი პირველ სართულზეა... კარი შეცვალეს და გასაღები არ მაქვს, გია მალე მოვაო, — მიბოდიშებს ხათუნა... ვსაუბრობთ... ამასობაში, ნახევარი საათი გადის... რესპონდენტი მოდის, მაგრამ... ოთახის გასაღები, თურმე, მანქანაში დარჩა... მოკლედ, გია ვოლსკი მთავაზობს, ჯერ ხათუნა დავტოვთ, მერე თქვენც მიგიყვანთ და თან ვისაუბროთო... ვთანხმდები და ვიდრე პარლამენტის შენობას დავტოვებთ, რესპონდენტთან „სელფს“ ვიღებ... მახსენდება, რომ ღამის თბილისში დიდი ხანია არ გამივლია... გეზს საბურთალოსკენ ვიღებთ... პირველ კითხვას ვსვამ:**

**— ბატონო გია, ღამის 12-ის ნახევარია. ამ დროს ინტერვიუ მიგიციათ?**

— არასოდეს...

**— დღეს, როგორც ვიცი, უამრავი შეხვედრა გქონდათ. ალბათ, დაღლილი ხართ...**

— არა, ასეთ უჩვეულო რეჟიმში მუშაობას მიჩვეული ვარ. არ ვიცი, კარგია თუ არა, მაგრამ ხშირად შინ ამაზე გვიანაც მისულვარ. ისე, ამაზე ლაპარაკი არ მიყვარს, რადგან ბევრ თემას უნდა ეტყობოდეს, რომ მე და ჩემი კოლეგები ასეთ რეჟიმში ვმუშაობთ.

**— ნაციონალი რომ ვიყო, აუცილებლად ნიშნს მოგიგებდით, ნეტავ, ქვეყანას რა ეტყობა, რომ 24 საათი მუხლჩაუხრელად მუშაობთ-მეთქი...**

— იცით, რა არის — 24-საათიან რეჟიმში რომ არ ვიმუშაოთ, ქვეყანას უარესობისკენ წასვლა ნამდვილად დაეტყობა!.. ძალიან ბევრი განცხადება და მომართვაა, შესაბამისად, უწყებებში უნდა გადაანაწილო, შემდეგ პასუხი მოითხოვო. ისეთი საერთაშორისო საკითხებიცაა, რომლებიც, კონფლიქტების მოგვარების ასპექტში, როგორც კომისიის თავმჯდომარეს, მევალება... უამრავი შეხვედრა უცხოელ კოლეგებთან, მოქალაქეებთან, კოალიციური კონსულტაციები, ცალკეული კანონპროექტების განხილვა, დღეს დილიდან მთავრობის წევრებთან კონსულტაციები გვქონდა, კაჭრეთში შევიკრიბეთ. შემდეგ პოლიტსაბჭოს სხდომა...

**— კაჭრეთში რა ხდებოდა?**

— რამდენიმე მინისტრი, ჟენევის მოლაპარაკებებზე ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი, პრეზიდენტის აპარატის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტები შევიკრიბეთ. ვითარება შევაფასეთ, მოვლენათა შესაძლო განვითარების ასპექტები და კონფლიქტების ტრანსფორმაციის არსებული რესურსები შევაფასეთ.

**— მერე, რა დაადგინეთ?**

— ბევრი ბჭობა არ სჭირდება და ხშირად ამის თქმა არაპოპულარულიცაა, მაგრამ ძალიან რთულ სიტუაციაში ვართ — დამოუკიდებელი მოქმედებისთვის საჭირო ბერკეტები შეზღუდულია. საქართველოსთვის პრინციპულ საკითხებზე, მათ შორის, რუსეთთან ურთიერთობაში საერთაშორისო მხარდაჭერა გადამწყვეტია — არ შეიძლება, მოლაპარაკებების პროცესში მარტო დავრჩეთ. საერთაშორისო მხარდაჭერა კი ბევრ საგარეო ასპექტზეა დამოკიდებული — პრაქტიკულად, ენერგეტიკული ომი მიმდინარეობს, რომელშიც მთელი მსოფლიოა ჩართული. რიგის მომავალ სამიტზეც ვისაუბრეთ...

**— ბატონო გია, უნდა ჩაგეკითხოთ: საგარეო საფრთხეებზე მსჯელობისას თანაკოალიციელი გოგი თოფაძის განცხადება, რუსეთს ცოტა ყველაფერში უნდა დავუთმოთო, ყასიდად მაინც თუ გაგახსენდათ?**

— გოგი თოფაძის ადვოკატად არ გამოვდგები — ადვოკატი არ სჭირდება, მაგრამ ადგილი ნამდვილად ინტერპრეტაციას ჰქონდა.

**— ვერ გავიგე, ყველანი ყველაფერს ჟურნალისტებს რატომ აბრალებთ?**

— არა, ჟურნალისტებს არ ვაბრალებ — გოგი თოფაძემ ეს საზოგადოებასთან შეხვედრისას ილაპარაკა: ჰკითხეს, შეხვედრა რომ შედგეს, რა საკითხებზე უნდა ვილაპარაკოთო. მან თქვა, ლაპარაკი შესაძლოა, რკინიგზაზე და ბაზების გაყვანაზეც იყოსო.

**— „შეიძლება იყოს“ კი არა, პირდაპირ თქვა, რუსეთს ცოტა უნდა დავუთმოთო...**

— მთავარ მიზანს რომ მიაღწიო, რაღაც საკითხებში შეიძლება, კომპრომისი დაგჭირდესო, — ასე თქვა. ამის იქით ანუ სიღრმეში არ წასულა, თუმცა დღეს მთავარი თემა ისაა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის მოლაპარაკების ნებისმიერ ფორმატში გამართვის წინაპირობა არ არსებობს, ამდენად ჰიპოთეტურ საუბრებს მხოლოდ სპეკულაციები მოყვება ხოლმე, ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს, მათ შორის ბატონმა გოგიმაც.

**— ახლა პროვოკაციულ კითხვას დაგისვამთ და მოკლედ მიპასუხეთ: ნატო თუ რუსეთი?**

— პროვოკაცია რატომაა? — რასაკვირველია, ევროატლანტიკური ინტეგრაცია, რაც უსაფრთხოების ის გარანტიაა, რომელსაც რუსეთი ვერ იძლევა; ესაა ეკონომიკის განვითარების რეალური შანსი და სტანდარტები, რომელიც თუნდაც ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიას იძლევა და რაც ახლახან, სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, საგანგებო თემა იყო. ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე საუბრობ, სწორედ აქედან გამომდინარე გამოდიხარ და არა იქიდან, ვიღაცას მოეწონება თუ არა. ეს ჩვენი პოზიციაა და არა ვიღაცის წამხედურება. შემიძლია, ამ თემაზე ლაპარაკი უფრო არგუმენტირებულად გავაგრძელო.

**— ვიდრე განაგრძობთ, ისევ ჩაგეკითხებით: თქვენი გვარიდან გამომდინარე, ძირძველი ევროპელი ხართ — პოლონელი. ისე, თავს უფრო პოლონელად თვლით თუ უფრო ქართველად?**

— მეექვსე თაობა ვარ...

**— ბაბუათქვენზე, რომელიც ბათუმის თავკაცი იყო, ადგილობრივები დღემდე ბევრ კარგს ამბობენ...**

— დიდი ბაბუა ილიას უახლოესი მეგობარი და ახლადშემოერთებულ აჭარაში ქართული სიტყვის გამავრცელებელი საზოგადოების მებაირახტრე იყო. მისი და ქუთაისის გიმნაზიაში ქართულ ენას ასწავლიდა... ასე რომ, სხვა ეროვნების განცდა არ მაქვს.

**— დავიჯერო, პოლონური სისხლის ყივილს არასოდეს გრძნობთ?**

— სიმართლე გითხრათ, არა. ისე, არ მგონია, ჩემი მეორე ანუ ქართული მხარე, თუნდაც თავისი ისტორიული გამოცდილებით, ნაკლები ევროპელია... ერთხელ მითხრეს, ვოლსკი მაინც რუსულს ჰგავს, იქნებ, ეროვნება გადაიკეთო და რუსი ჩაიწერო, კარიერისთვის გამოგადგებაო, რასაკვირველია, უარი ვუთხარი. გრიგოლ ვოლსკის შვილიშვილს, როგორ შეიძლება, ქართველის გარდა, სხვა ეროვნება ეწეროს?!

საერთოდ, ეს ევროპელობა ჩვენს სინამდვილეში, მგონი, ცოტა დამახინჯებული ფორმით შემოვიდა.

**— რას გულისხმობთ?**

— ქართველობა ნიშნავს ევროპელობას — ეს მრავალასპექტიანი თემაა. საქართველო მხოლოდ გეოგრაფიულად კი არა, ცხოვრების წესითაც ევროპაა, თუმცა პოზიტიურ გამოცდილებამდე ბევრი გვაკლია. ერთმა ახლობელმა მითხრა, საქართველოსა და ევროპას შორის ზუსტად იმხელა მანძილია, რაც ქუჩაში ცელოფნის პარკები ყრია, ერთმანეთს რომ გადააბაო... ამავე დროს, საქართველოში, ოდითგან, სხვა ეთნოსებიც ცხოვრობდნენ და ამ ტერიტორიაზე ეთნიკური ან რელიგიური ნიშნის საომარი დაპირისპირება არასოდეს მომხდარა

**— რასაკვირველია, გეთანხმებით. ჰოდა, რამეთუ მაღალ მატერიებზე ვლაპარაკობთ, აქვე მითხარით: ჰომოფობი ხართ?**

— ადამიანი, როგორიც უნდა იყოს, ჩემთვის მთავარი მისი უფლებების დაცვაა და ამით ყველაფერი ნათქვამია, თუმცა გარკვეული საკითხისადმი, რომელიც მხოლოდ სექსუალურ კი არა, სხვა უმცირესობასაც ახასიათებს, შეიძლება, სხვანაირი დამოკიდებულება მაქვს. ვთქვათ, უმცირესობად მიმაჩნია ადამიანთა ჯგუფი, რომელიმე სექტა, მაგრამ ასეა თუ ისე, ადამიანი, როგორიც უნდა იყოს, კონსტიტუციით, თავის უფლებებში გარანტირებულია ანუ სამართლის წინაშე ყველას თანასწორობაა მთავარი. აგრესიის რაღაც გამოვლინებებიც არის, რასაც ხაზს ვერ გადავუსვამთ, ეს მოცემულობაა. ალბათ, მეტი განათლებაა საჭირო.

**— ნაციონალებს უფლებები აქვთ?**

— რასაკვირველია!

**— აბა, პრემიერი ნაცმოძრაობას სექტას რატომ ეძახის. ეს ხომ, მინიმუმ, შეურაცხყოფაა?**

— პრემიერმა, მე თუ თქვენ რაც უნდა დავუძახოთ, ამ ადამიანებს უფლებები ისევე აქვთ, როგორც ჩვენ. მეორე საკითხია, პრემიერს ეს უნდა ეთქვა თუ არა. მის ადგილას მე, შეძლება, სხვანაირად მეთქვა. ამ ადამიანების პოლიტიკური პოზიციის მიმართ აგრესია გამომიხატავს კიდეც, მაგრამ არასოდეს მიფიქრია, რომ მათი უფლება უნდა დაირღვეს.

**— ბატონო გია, „გურჯაანულ კვერცხაობას“ თუ გავიხსენებთ, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ „ოცნება“ ნაცთა უფლებებს არღვევს?**

— აქ ლაპარაკი ხულიგნობაზეა. უფლებები მაშინ დაირღვევა, თუ მათ მიმართ გამოვლენილი აგრესია სათანადოდ არ შეფასდება. ამ საკითხის განხილვას ფართო მასშტაბი რომ მივცეთ, ნაციონალების დროს უამრავი ადამიანის უფლება დაირღვა — ქონება, ღირსება, სიცოცხლე წაართვეს, აგრესიაც აქედანაა...

**— ადამიანებს წართმეულ ქონებასა და ღირსებას რატომ არ უბრუნებთ, ეს ხომ თქვენი ერთ-ერთი მთავარი საარჩევნო დაპირება იყო?**

— ეს სხვა საკითხია. ადამიანთა დიდ ჯგუფს ნაციონალთა მიმართ ნეგატიური მახსოვრობა აქვს და უსამართლობას მაშინ გრძნობს, როცა სამართლიანობის აღდგენა სწრაფად არ ხდება.

**— სწრაფად კი არა, მგონი, საერთოდ არ ხდება...**

— სხვა თემაზე გადახვედით, წინა არ ამოგვიწურავს.

**— კი ბატონო, ამოვწუროთ...**

— ასე რომ, ადამიანებს აგრესია აქვთ და ეს მოცემულობაა. შენ საზოგადოებას აშენებ, შენების პროცესში ხარ; ხომ არ შეიძლება, საზოგადოება სრულიად დავარცხნილი და ისეთი სტანდარტების ჩაიბარო, როგორსაც გინდა, მიაღწიო. მზამზარეული არაფერი დაგვხვედრია. მეტსაც გეტყვით: ძალიან ცუდი სიტუაცია დაგხვდა — ამდენი გაღიზიანებული, ღირსებააყრილი ხალხი და წართმეული სიცოცხლე. ასეთ პირობებში ხელისუფლებამ, რასაკვირველია, უნდა მოახერხოს და მხოლოდ კანონი კი არა, ვიდრე საკითხი სასამართლოში არ მოხვდება, ბოროტების ჩამდენიც უნდა დაიცვას.

რაც შეეხება ქონების დაბრუნებას, ადვილი თემა, თურმე, არც ეს ყოფილა.

**— შეიძლება, მაგრამ ოპონენტები გაძახებენ, ივანიშვილმა თავისი 80 მილიონი ხომ კარგად დაიბრუნაო...**

— ზოგს ქონება წაართვეს და მეორე დღეს უკან დაუბრუნეს, მაგრამ ზოგს ქონება სასამართლოს ძალით ან ხელწერილით ჩამოართვეს. ამას ღრმა შესწავლა სჭირდება. საერთოდ, კანონის აღდგენა კანონის დარღვევით არ შეიძლება, მაგრამ მთავარ პროკურატურაში დეპარტამენტი შეიქმნა, სასამართლოც გარკვეული სტრუქტურის ჩამოყალიბებას აპირებს...

***სწორედ ამ დროს, ავტომობილიდან თვალი მოვკარი, შუახანს გადაცილებული მამაკაცი ძელსკამთან იდგა და „კარზინკებში“ იქექებოდა. ცხადია, ეს შემთხვევა ხელიდან არ გავუშვი და თანამოსაუბრეს მივმართე:***

**— ბატონო გია, ხედავთ, ადამიანი ნაგვის ურნაში საჭმელს ეძებს!**

— ასეთი რაღაცები ხდება, მაგრამ ეს კონკრეტული ადამიანი ნაგვიდან არაფერს იღებს — სხვა რამეს აკეთებს. მისთვის, ვინც სანაგვიდან საკვებს თუ რამე ნივთს იღებს, იმის თქმა, ანალოგიური აშშ-შიც ხდებაო, სიმშვიდის მომტანი ვერ იქნება.

**— მშიერ ხალხს შვებას მუდმივად ვერც 9 წელზე ლაპარაკი მოუტანს...**

— 9 და იმის წინა მრავალ წელზეც მუდმივად უნდა ილაპარაკო, პრობლემები დიდი სისწრაფით გროვდებოდა...

***ამასობაში, დანიშნულების პირველ წერტილთან, ანუ ხათუნა ჩარკვიანის სახლთან მივედით. აბა, წავედი. ისე, ძალიან მაინტერესებს, როგორი ინტერვიუ გამოვა, — ამბობს ხათუნა და გვემშვიდობება. მე და გია ვოლსკი გზას და, შესაბამისად, დიალოგს ვაგრძელებთ.***

— მუდმივად მხოლოდ 9 კი არა, 20 წელზე უნდა ვილაპარაკოთ — თუ ზუსტად არ შეაფასე, საქმე რასთან გქონდა და რა გადაიტანე, მომავალს ვერასოდეს დაგეგმავ და განახორციელებ. სიბინძურისა და ნაგვის მთა რომ დაგხვდება, უცებ, რასაკვირველია, ვერ გახვეტავ. არ ვამბობ, რომ ყველა სტრუქტურა და მექანიზმი იდეალურად მუშაობს. პატარა ქვეყანაა და უამრავი პრობლემა გვაქვს — ამდენი საგარეო საფრთხე და გამოწვევა; ოკუპირებული ტერიტორიები; შენი პოლიტიკური ოპონენტების ორგანიზებული ჯგუფი...

**— რომელიც, „ოცნებისგან“ განსხვავებით, კარგადაა დატრენინგებული...**

— კი ბატონო... ამ ჯგუფს ურთიერთობების უზარმაზარი „ნეთვორქი“, ქსელი აქვს.

**— ეს „ქსელი“ თქვენც გააბით!**

— ამას შენება და ფულადი რესურსი უნდა, რომელიც ჩვენი ბიუჯეტიდან ძირითადად სოციალურ თემებზეა მობილიზებული. ძალიან კარგად ვიცით, ბიუჯეტიდან სოციალურ თემებზე ამხელა ხარჯის გაწევა ეკონომიკურ განვითარებას ხელს გარკვეულწილად უშლის.

**— ამას ახლა მიხვდით თუ თავიდანვე იცოდით?**

— ვიცოდით, მაგრამ მთავარი პრინციპი ისაა, ადამიანების სიცოცხლე გადაარჩინო და დემოგრაფიული პრობლემა მოაგვარო. მედიასაშუალებებში ეს რეალობა არ ჩანს, მაგრამ ამაზე მუშაობა მიდის, მკურნალობაზე ხელმისაწვდომობამ ათასობით სიცოცხლე გადაარჩინა!

**— ნაწილობრივ გეთანხმებით, მაგრამ ისიც რეალობაა, რომ 4-ლარიანი ზეთი 9 ლარი გახდა!**

— ზოგიერთი სახის პროდუქტზე, გეთანხმებით, უფრო მნიშვნელოვანი მატებაა, მაგრამ ამ კუთხით საქართველო ერთადერთი ქვეყანა არაა.

**— ერთადერთი იმ კუთხითაა, რომ ქვეყნებში, მინიმუმ, ხალხი დასაქმებულია!**

— სწორი ბრძანდებით... ჩვენთან უმუშევრობის მაჩვენებელი 17 პროცენტია და ის უფრო ცუდია, დასაქმებული ადამიანები ხშირად არ მიიჩნევენ, რომ დასაქმებულნი გამოცდილების, ცოდნის მიხედვით არიან და ამიტომ თავს უმუშევრად თვლიან. აი, ამ რეალობაში ვცხოვრობთ.

**— ბატონო გია, ვიდრე შემდეგ კითხვას დავსვამ, მითხრათ, „ლიმიტი“ სადამდე მაქვს ანუ სად ჩამომსვამთ?**

— თქვენი მიმართულება საითაა?

**— ისნისკენ. სად მიდიხართ?**

— ავლაბარში.

**— ჯერ ვაჟა ფშაველაზე ვართ. ასე რომ, დრო მაქვს... ლარის გაუფასურება შეგეტყოთ? კრედიტი გაქვთ?**

— ჩემდა სასიხარულოდ, არა. ხელფასი დიდი ჰგონიათ, პრინციპში, დიდია — 3 ათასი ლარი ბევრია და უნდა გეყოს, მაგრამ ადამიანებს ძალიან დიდ ნაწილს შემოსავალი დაბალი აქვს. ვამბობთ, რომ პენსიონერებისთვის 10 ლარის მომატება ცოტაა, მაგრამ თუ გადავითვლით, რამდენი პენსიონერია, ეს 10 ლარი წელიწადში 80 მილიონს შეადგენს. აქედან გამომდინარე, რთულია, ვინმეს ნიშნისმოგებით ელაპარაკო, აქაოდა, ქვეყნის წინაშე ისეთი დამსახურება მაქვს, ეს თანხა ჩემთვის მცირეცააო. ის დრო ალბათ მოვა, როცა 3 ათასი დაბალ ან საშუალო ხელფასად ჩაითვლება... მოდით, პატარა გადახვევა გავაკეთოთ: საქართველოს ოჯახებს თუნდაც რუსეთში მცხოვრები ახლობლებისგან, მხოლოდ ბანკის მეშვეობით, ერთ მილიარდამდე გადმორიცხვა ჰქონდათ, ამ გზით ვალუტის შემოდინება ევროპასა და აშშ-დანაც დიდი იყო, რაც პრაქტიკულად, განახევრდა. ტურისტების რიცხვი მხოლოდ საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში შემცირდა და დიდმა ქვეყნებმა, მაგალითად, კანადამ საელჩოების დაკეტვაც დაიწყო.

**— კანადამ რამდენი საელჩო სად დაკეტა?**

— ზუსტ რაოდენობას ვერ დაგისახელებთ, ამ თემაზე კანადელ დიპლომატებთან მქონდა საუბარი.

**— ესე იგი, პესიმისტური პროგნოზი გაქვთ?!**

— არა, ჯერჯერობით, უარყოფით მხარეებზე ვლაპარაკობთ... ჩემს თავს უფლება ვერ მივეცი, პატარა სპეკულაცია „დამეშვა“ — ხელფასის დოლარში კონვერტაცია გამეკეთებინა და ლარი მეტი მექნებოდა.

**— ესე იგი, ქამრის შემოჭერა არ დაგჭირდათ?**

— რასაკვირველია, ლარის კურსის ცვლილება ყველაფერს დაეტყო.

**— მძღოლიც ამიტომ არ გყავთ?**

— მყავს, მაგრამ დღეს საჭესთან მე ვზივარ... საზოგადოებაში დასაქმებული ადამიანების მიმართ აგრესია არ უნდა იყოს... დარწმუნებული ვარ, ლარის თემა დღის წესრიგიდან მოიხსნება...

**— ბატონო გია, „წითელზე“ გაიარეთ!**

— არა, „მწვანე“ იყო, „წითელი“ მარცხნივ შეხვევაზე იყო, წესებს არ ვარღვევ...

**— მოდით, ახლა, საუბარი ცოტა გავამწვავოთ: „ოცნებაში“ ვისი კადრი ხართ — ღარიბაშვილის თუ ივანიშვილის?**

— „ოცნებაში“ როგორ მოვედი?

**— არა, დღევანდელ სიტუაციაზე გეკითხებით.**

— მათ შორის სხვაობა არაა. შეიძლება, ბევრი რამ დააბრალო, ვთქვათ, ჩარევის მეტი ხარისხი, ვიდრე არსებობს, მაგრამ იმაზე, რომ ეს ერთი გუნდია, ჩემთვის ორი აზრი არ არსებობს... ახლა დავამთავრეთ პოლიტსაბჭოს შეხვედრა, რომელსაც ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც დაახლოებით 5 საათს გაგრძელდა და ერთი საკითხიც არ დარჩენილა ღიად იმ გაგებით, რომ პრემიერმა ივანიშვილს უნდა ჰკითხოს, თუმცა არც იმას გამოვრიცხავ და არც ლოგიკური იქნება, გამორიცხო, რომ მთელ რიგ საკითხებზე ყოფილ პრემიერთან მოქმედ პრემიერს ინტენსიური კონსულტაციები აქვს.

**— რა ვიცი, თავად ამას უარყოფენ და ყოფილმა პრემიერმა ისიც თქვა, დიდი ხანია ღარიბაშვილთან კონტაქტი არ მქონიაო...**

— მთავარი კამათი კონტაქტის ინტენსივობაზეა. გარწმუნებთ: დღეს პოზიცია უამრავ კოალიციურ საკითხზე ჩამოვაყალიბეთ, მაგრამ პრემიერს დამატებითი კონსულტაციებისთვის დრო არ მოუთხოვია.

**— მაინც, რა საკითხები განიხილეთ?**

— სახელმწიფო სამსახურების ანუ მართვის სისტემის სტრუქტურული რეფორმაა გასატარებელი, რიგის სამიტის წინა პერიოდში ჩატარებულ საერთაშორისო შეხვედრებსა და „იბიარდის“ ფორუმის შედეგებზეც ვისაუბრეთ; ასევე ვრცელი საუბარი გვქონდა პარტიული სტრუქტურების ჩამოყალიბება-გაჯანსაღებასა და კოალიციაში საქმიანობის კოორდინაციაზე

**— პარტია „ქართულ ოცნებას“ რეალურად ვინ აკონტროლებს — ღარიბაშვილი თუ კალაძე?**

— კარგია, რომ მკითხეთ. მერწმუნეთ, ირაკლი ღარიბაშვილსა და კახა კალაძეს შორის არც ადამიანური და არც საქმიანი კონფლიქტი არ არსებობს! რაღაც თემაზე ხალხს გარკვეული აზრი აქვს ჩამოყალიბებული.

**— ეს აზრი გაფანტეთ!**

— იმდენი რესურსი არ მაქვს, ეს აზრი გავფანტო. უბრალოდ, ვისურვებ, ჟურნალისტებს ერთხელ მაინც მოგეცეთ შესაძლებლობა, თვალყური ადევნოთ, როგორ მიმდინარეობს პოლიტსაბჭოს ან მთავრობის სხდომა.

**— შემდეგი პოლიტსაბჭო როდის გექნებათ?**

— ალბათ, კვირას.

**— გამოგყვებით და თვალს მივადევნებ.**

— არ შეიძლება.

**— რატომ?**



— დახურული თემებია და მხოლოდ პოლიტსაბჭოს წევრები ესწრებიან. როცა მედია ინფორმაციას კულუარებიდან ვერ იღებს, სკანდალს ნებისმიერი მოცემულობიდან აყალიბებს. ეს საყვედურად არ მიიღოთ!

**— ჟურნალისტები საყვედურებს მიჩვეულები ვართ.**

— ეს მსოფლიოს მედიისთვისაა დამახასიათებელი. მთავრობას მეხოტბე მედია ნამდვილად არ სჭირდება, მაგრამ ღრმა ანალიზისა და ანგაჟირებულობისგან თავისუფლების დიდი პრობლემაა

**— აბა, რა, ჩვენ სულიერი მოძღვრები არ ვართ, ცოდვები შეგიდნოთ!**

— მედიას, რაც უფრო ჩამძიებელი თუ ჩამკითხავი იქნება, მკითხველი უფრო მეტი ეყოლება!

**— ისე, ჩვენი შეხვედრა ხომ არასოდეს დაგავიწყდებათ?**

— თქვენს ნაწერებს აქამდეც ვიცნობდი...

**— ძალიანაც კარგი... ერთხელ, მოქმედმა პრემიერმა თქვა, ხელისუფლებაში არც ნეპოტიზმია და არც კორუფციაო, თუმცა ყოფილმა პრემიერმა მიანიშნა, ორივე მანკიერება არსებობსო. ბატონო გია, თქვენი აზრით, მოქმედია გულწრფელი თუ ყოფილი?**

— კარგი მაგალითი მოიყვანეთ, მაგრამ ესეც პირობითი თემაა. ისეთი დახურული საზოგადოება, სადაც დაფარული არ გამჟღავნდება, არ არსებობს. ნეპოტიზმი ისაა, როცა ორი, შესაბამისი შესაძლებლობის არმქონე ადამიანი ერთმანეთს ან ერთიმეორეს ეხმარება, რათა სამსახურში უპირატესი პოზიცია მოიპოვოს, რაც დანაშაულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანმა, რომლის ნათესავიც სახელმწიფო სამსახურში მუშაობს, პოლიტიკური კარიერა საერთოდ დაივიწყოს. ასე რომ, ამას ჩაძიება და საზოგადოებრივი მეთვალყურეობა სჭირდება.

**— ბოლოს და ბოლოს, ჩამოვყალიბდით, ცოლის ნათესავი ნათესავია თუ არა?**

— ეს იუმორის ნაწილი იყო... ცოლის ნათესავი მართლა მუშაობდა, თუმცა ახლა აღარ მუშაობს. ისე, გადაცდომები არის ხოლმე. არ მინდა, პარალელები გავავლო, მაგრამ კენედის პრეზიდენტობის დროს, მისი ძმა იუსტიციის მინისტრი იყო.

**— თუმცა, კენედები არ უარყოფდნენ, რომ ძმები იყვნენ...**

— რასაკვირველია, მაგრამ ნათქვამია, საქმემან შენმამ წარმოგაჩინოსო. ადამიანი იმიტომ თუ გაათავისუფლე, რომ მისი ნათესავი სადღაც, რაღაც პოზიციაზეა, შეიძლება, საზოგადოებამ არ გაპატიოს და გითხრას, არასწორად იქცევიო.

**— ბატონო გია, სიტყვამ მოიტანა და, ნათელა მაჭავარიანის დისშვილი ხართ...**

— ნათელა მაჭავარიანი დეიდა და დეიდაზე ცოტა მეტიცაა.

**— გეგა კობახიძეზე ვისაუბროთ...**

— ერთად ვიზრდებოდით, ერთი ოჯახი გვქონდა...

**— იმას, რაც „ჯინსების ბიჭებმა“ გააკეთეს, ტერორისტულ აქტად თვლით?**

— ვფიქრობ, გეგასა და მისი მეგობრების მიერ დანაშაული ნამდვილად იქნა ჩადენილი, მაგრამ დახვრეტის მოტივაცია ისევე, როგორც გამოძიება, უკიდურესად სუბიექტური და ფალსიფიცირებული იყო... თავისუფლების მოყვარე ადამიანისთვის დამთრგუნველი გარემოებები არსებობდა. დანაშაულის გამოძიებისას აბსოლუტური მიკერძოება დაუშვეს — ამ ადამიანების მიმართ იმ დანაშაულების ინკრიმინირება მოხდა, რაც არ ჩაუდენიათ და, პრაქტიკულად, სუბიექტური მოსაზრებით დახვრიტეს — მავან ხელმძღვანელს თავისსამართლებელი არ უნდა ჰქონოდა, რომ საქართველოში, იდეოლოგიური თვალსაზრისით, პატარა ჯგუფი უპირისპირდება. ვფიქრობ, მღვდელიც იმიტომ დახვრიტეს, ამ ჯგუფისთვის რელიგიური გავლენის ტყვეობა დაებრალებინათ. სხვათა შორის, დანაშაულს ადგილი არ ჰქონდაო, ეს დეიდაჩემისგანაც არასოდეს გამიგია...

**— გეგასთან ურთიერთობისას გრძნობდით, რომ რამეს გეგმავდნენ?**

— ვხვდები, საუბარი საითკენ მიგყავთ...

**— აბსოლუტურად, კეთილგანწყობით გელაპარაკებით...**

— კი ბატონო... რთული პერიოდი გამოვიარეთ... მართალია, დაბალ თანამდებობაზე, მაგრამ ყოველგვარი პროტექციის გარეშე, მუშაობა საბჭოთა სისტემაში დავიწყე, თუმცა ჩემს ფასეულობებთან მიმართებაში არ შევცვლილვარ. სხვათა შორის, ეს უკვე ცოტა სხვა პერიოდი იყო და ძალიან ბევრისთვის საბჭოთა სისტემაში მუშაობა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიასთან კი არა, კარიერასთან ასოცირდებოდა. ამიტომ, მუშაობის დაწყებით გეგასა და სხვა მეგობრებთან ჩემი ურთიერთობა, რასაკვირველია, არ შეცვლილა ანუ ეს ფაქტორი არაა, რის გამოც გაქცევისთვის მზადება არ ვიცოდი, ვერც იმას ვიტყვი, რომ მიმალავდა.

**— გეგას რომ შემოეთავაზებინა, თქვენც გაიქცეოდით?**

— რომ შემოეთავაზებინა, ყველაფერს გავაკეთებდი, ეს არასწორი და თვითდამაზიანებელი ნაბიჯი არ გადაედგა. ამის შემდეგ ჩვენს ოჯახს კიდევ ბევრი ახალგაზრდა დააკლდა. ვფიქრობ, შეგვეძლო, ეს ტრაგედია თავიდან აგვეცილებინა და გეგა დღეს ცოცხალი იქნებოდა. უნიჭიერესი, გამბედავი და მოსიყვარულე ვაჟკაცი იყო... შესანიშნავი იუმორი ჰქონდა...

**— ხომ არ ეჭვობთ, რომ ბიჭებს გაქცევისკენ ვინმემ უბიძგა და მერე „ჩაუშვა“? ალბათ, ხვდებით, რასაც ვგულისხმობ...**

— ვხდები, მაგრამ ეს რთული თემაა... მის ახალ გარემოცვას არ ვიცნობდი, გეგამ სავსებით შეიცვალა მეგობრების წრე, ირაკლი ჩარკვიანსა და დათო ევგენიძესთან მეგობრობდა, თუმცა ბოლო დროს ჩამოსცილდა...

**— ბატონო გია, ბოლოს რამე მკითხეთ, დაგემშვიდობებით, ტაქსს გავაჩერებ და შინ წავალ...**

— იმდენი კითხვა დასვით, რომ კითხვა არ მაქვს...

***გია ვოლსკის დავემშვიდობე და მანქანიდან გადმოსვლა დავაპირე, მაგრამ არ დამანება — ლამის უკვე ისანში ვართ და ბარემ, სახლამდე მიგიყვანო... შინ რომ მივედი პირველი ხდებოდა... ვიდრე დავიძინებდი, ჩემი და გია ვოლსკის „სელფი“ სოციალურ ქსელში „ავტვირთე“. ერთმა „ფრენდმა“ მოსწრებულად იხუმრა, ჟურნალისტიკის „ვოლკი“ და ხელისუფლების ვოლსკიო... გამეღიმა... ღიმილი არ მოგვიშალოს უფალმა!***

# ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი კადრსმილმა

ნათია აბაშიძე

**უკვე კარგა ხანია, ხმაური არ წყდება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ირგვლივ, სადაც საკონკურსო კომისიამ დირექტორად ზაზა აბაშიძე წარადგინა. აწ უკვე ყოფილი დირექტორი, ბუბა კუდავა კი ბრძოლას აგრძელებს და აცხადებს, რომ განათლების სამინისტროს ცენტრის სხვა ტერიტორიაზე გადატანა და ძველი შენობის გასხვისება სურს. ქალბატონმა თამარ სანიკიძემ ხელნაწერთა ცენტრში არსებულ დაბალ ხელფასებზე და დანამატების გაცემის დროს, კონკრეტული პირების პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებაზე ისაუბრა.**
**ხელნაწერთა ცენტრის დირექტორის მმართველობისას არსებულ დარღვევებზე, „ვერსიას“ ცენტრის ყოფილი თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნე, მხატვარი და რესტავრატორი ლია სიხარულიძე ესაუბრება:**



— ხელნაწერთა ინსტიტუტში (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) 36 წელი ვიმუშავე (1970- დან 2006 წლამდე) ვმუშაობდი — სარესტავრაციო განყოფილებაში განსაკუთრებულად ფასეულ ხელნაწერთა რესტავრატორად — მევალებოდა: ხელნაწერის აკინძვა, ძველი ტვიფრული ყდის ტყავის დამუშავება. პროფესიით ფილოლოგი და ხელოვნებათმცოდნე გახლავართ, მხატვარ-რესტავრატორის დარგში კი სტაჟირება არაერთ ქვეყანაში მაქვს გავლილი: ერევანში (მატენადარანის სარესტავრაციო განყოფილებაში), ესტონეთში (ქ. ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტის სარესტავრაციო განყოფილებაში და ამავე უნივერსიტეტთან არსებულ სახელოსნოებში), ლენინგრადში (მეცნიერებათა აკადემიის დოკუმენტების კონსერვაცია-რესტავრაციის ლაბორატორიაში), მოსკოვში (რუსეთის სამეცნიერო-კვლევითი რესტავრაციის ინსტიტუტში, გრაბარის სახ. სამხატვრო-სამეცნიერო რესტავრაციის ცენტრში, რუდომინის სახ. საზღვარგარეთული ლიტერატურის სახ. ბიბლიოთეკის სამეცნიერო-სარესტავრაციო განყოფილებაში) და ა.შ.

— **თქვენს პერიოდში, დაწესებულებამ არაერთი დირექტორი გამოიცვალა... მათთან თუ გქონიათ რაიმე უსიამოვნება?**

— არანაირი. ელო მეტრეველი შესანიშნავი დირექტორი გახლდათ, ღირსეული ადამიანი და თავისი საქმის უბადლო მცოდნე, იგი აფასებდა ჩემს შრომასა და ცოდნას. მის შემდეგ ბატონი ზაზა ალექსიძე დაინიშნა, რომელიც არასოდეს არაფერში ჩარეულა. 2006 წელს კი ბუბა კუდავა დაინიშნა და აი, აქედან დაიწყო...

— **სწორედ მაგაზე მინდა გკითხოთ, თქვენსა და ბატონ ბუბას შორის კონფლიქტი როდის და რა მიზეზით დაიწყო?**

— ბუბა კუდავა 2006 წლის იანვარში ჯერ ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა, ამავე წლის აპრილიდან კი დირექტორის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ბატონი ბუბა ინსტიტუტს იმდენად არ იცნობდა, რომ თავიდან 2-3 თვე თანამშრომლების გაცნობას მოუნდა... სხვათა შორის, თავიდან საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვქონდა, რამდენჯერმე ნახატიც კი დავუხატე.

— **მაშინ რა გახდა კონფლიქტის მიზეზი?**

— ვფიქრობ, ბუბა კუდავას ინსტიტუტში მოსვლისთანავე სურვილი გაუჩნდა, ყველაფერს მისი



სახელი დარქმეოდა და ყველაფერი მისი ინიციატივით დაწყებულიყო. ჩემი ვარაუდით, ეს სურვილი საცავებში ნანახმა უნიკალურმა მასალებმა განაპირობა, განსაკუთრებით კი „მოქვის სახარებით“ დაინტერესდა, რომელზეც მე ვამაგრებდი ატკეცილ და დაშლის ზღვარზე მისულ ფერწერას

— **თუმცა, „მოქვის სახარებას“ რესტავრაცია-კონსერვაცია მოგვიანებით ჩაუტარდა და ეს საქმე ბუბა კუდავას სახელს უკავშირდება.**

— „მოქვის სახარება“ ძალიან დიდი ხნის მანძილზე დაკონსერვებული იყო — ხელს ვერავინ კიდებდა, რადგან შეიძლებოდა, მეტად დაზიანებულიყო. ხელნაწერის მძიმე ყდა ცალკე იდო, ფურცლები დაშლილი და გაქრობის ზღვარზე იყო მისული... იმხანად, მოსკოვში, ძალიან ცნობილ და დაშლილი ფერწერის აღიარებულ რესტავრატორ გალინა ბიკოვასთანაც გავდიოდი სტაჟირებას. მან მითხრა — უკვე იმდენად მომზადებული ხარ, შეგიძლია, უნიკალურ ხელნაწერებზე იმუშაოო... თუმცა, მე მაინც სხვა ხელნაწერების რესტავრაციით დავიწყე და მხოლოდ ამის შემდეგ გადავედი „მოქვის სახარებაზე“. „მოქვის სახარების“ 33 მინიატურის გამაგრება მოვასწარი (ხელნაწერში სულ 152 მინიატურაა), შემდეგ უკვე კუდავა დაინიშნა ინსტიტუტში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად და რომ უთხრეს, მოქვზე ლია სიხარულიძე მუშაობსო, შევატყვე, არ მოეწონა და... ვფიქრობ, სწორედ მაშინ დაგეგმა ჩემი სამსახურიდან გაშვება...

— **როგორ მოხდა თქვენი გათავისუფლება და რა დაასახელეს ამის მიზეზად?**

— იცით, რა დამიწერეს სამსახურიდან გამოშვების მიზეზად? — „ხელნაწერთა განადგურებისათვის“... თუმცა, რა თქმა უნდა, ამის დადასტურება კუდავამ ვერ შეძლო და სასამართლოს საბოლოო განაჩენში შავით თეთრზეა დაწერილი — **„გაუქმდეს ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 15 აგვისტოს ბრძანება, მხატვარ-რესტავრატორ ლია სიხარულიძის თანამდებობიდან გათავისუფლების და ნატო ჭილაიასთვის სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ“.**



მიუხედავად ამისა, კუდავას დიდი მონდომებით, სამსახურში მაინც არ აღმადგინეს. ნატო ჭილაიამ კი, რომელიც 1992 წლიდან ჩემს სარესტავრაციო ლაბორატორიაში მუშაობდა (მე მას შევასწავლე სარესტავრაციო საქმე ძველ ხელნაწერთა დარგში და ამ დარგში ხელნაწერთა ინსტიტუტში მარტო ჩვენ ორნი ვმუშაობდით), სამსახური პროტესტის ნიშნად დატოვა.

— **რა ხელნაწერების განადგურებაზე იყო საუბარი?**

— იმ ხელნაწერებისა, რომლებსაც ჩვენს ლაბორატორიაში უტარდებოდა აღდგენა-რესტავრაცია...

— **რეალურად რა მოხდა?**

— 2006 წლის 10 ივლისს, ჩვეულებისამებრ, მე და ჩემი თანამეოთახე ნატო ჭილაია ჩვენს სარესტავრაციო ლაბორატორიაში ვმუშაობდით. თორმეტი საათი იქნებოდა, როცა ლაბორატორიაში შემოვიდნენ: ბუბა კუდავა, მისი მოადგილე გიორგი კალანდია და დიაგნოსტიკისა და კონსერვაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი დარეჯან გოგაშვილი. ბუბა კუდავამ გამოგვიცხადა, რომ ინსტიტუტში ინვენტარიზაციას აწარმოებდა, კალანდიამ კი კარიდანვე, სწრაფი ტემპით დაიწყო ჩხრეკა და ქექვა — უჯრებში, კარადებში, რკინის სეიფებში, თაროებზე და ა.შ. კუდავაც და გოგაშვილიც იგივეს აკეთებდნენ. გადაჩხრიკეს მთელი ოთახი და ყველაფერი (ძველი ყდები, რვეულები, დავთრები, ხელნაწერების აღწერილობები, საქაღალდეები, სარესტავრაციო მასალა და ა.შ.) სკივრებზე, მაგიდებზე და სავარძლებზე ჩამოყარეს. მოკლედ, დაულაგებელი და ქაოსური ლაბორატორიის პანორამა შექმნეს და შემდეგ ამ ყველაფრის ფოტოაპარატით გადაღება დაიწყეს. თანაც კომპოზიციებს დროდადრო ცვლიდნენ და შეცვლილ კომპოზიციებს ხელახლა იღებდნენ. ქაოსის ხელოვნურად შექმნაზე განსაკუთრებით კუდავა წვალობდა, კალანდია იატაკზეც კი დახოხავდა და გადასაღებად მათთვის ხელსაყრელ ადგილებს ეძებდა... სირცხვილის გრძნობა დაკარგული ჰქონდათ.

— **თქვენ და ნატო ჭილაიამ ამ ყველაფერზე რეაგირება არ მოახდინეთ?**

— ვერაფერი ვთქვით, გაოგნებულები ვუყურებდით და ველოდით, როდის დამთავრდებოდა ეს „სპეცოპერაცია“. 11 აგვისტოს კუდავამ და კალანდიამ ხელოვნების მუზეუმიდან მოიწვიეს რესტავრატორთა ჯგუფი ჩვენს ლაბორატორიაში მდგომარეობის შესასწავლად. მოწვეულმა რესტავრატორებმა მოსვლისთანავე აუღეს ალღო შექმნილ სიტუაციას და დირექტორს ადგილობრივი კომისიის შექმნა ურჩიეს. მეორე დღეს, ყველაფერი, რაც კი სარესტავრაციო ლაბორატორიაში გაგვაჩნდა, ხელმოწერებით დარეჯან გოგაშვილს (სარესტავრაციო განყოფილების უფროსი) და იზო ჯიქიძეს (ქიმიკოსი) გადავაბარეთ და საქმე სასამართლოში გადავიტანე.

— **რა მტკიცებულებები წარადგინა დირექტორმა თქვენს საქმეზე?**

— კუდავამ სასამართლოზე სწორედ ის ფოტოები წარადგინა, რომელზეც ზემოთ უკვე გესაუბრეთ. თუმცა, მე წინდახედულება გამოვიჩინე და ეს ფოტოები ლევან სამხარაულის სახ. ექსპერტიზის ბიუროში წავიღე, სადაც დაადგინეს: **„ფოტოები ხელოვნურად არის გადაადგილებული, შეცვლილი კომპოზიციებით და სხვადასხვა რაკურსით“.** რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ნათელს ჰფენდა შექმნილ გარემოებას და ჩემს უდანაშაულობაზე მეტყველებდა. კუდავამ ვერ შეძლო ჩემი გათავისუფლების მიზეზად მითითებული გარემოებების სათანადო მტკიცებულებებით დადასტურება და ეს საქმე წააგო.

— **რაც შეეხება, „მოქვის სახარებას“... ხომ არ იცით, რამდენად ხარისხიანად მოხდა მისი რესტავრაცია?**

— „მოქვის სახარებით“ სპეკულირება კუდავამ ჩემი გაგდების შემდეგ დაიწყო... „გადავარჩინოთ მოქვის სახარება“ ამ შინაარსის პლაკატებს ავრცელებდა იგი სხვადასხვა დაწესებულებებსა თუ ტელევიზიებში, დაიწყო აუქციონების ჩატარება, ფულის მოძიება, ინსტიტუტის შესასვლელთანაც კი დადო დიდი შუშის ყულაბა... 2007-დან 2011 წლამდე იგი სწორედ ამით იყო დაკავებული და საკმაოდ დიდი პიარიც გაიკეთა... სინამდვილეში, „მოქვის სახარებას“ მართლაც სჭირდებოდა გადარჩენა, მაგრამ არა იმ ფორმით და იმ დროში, როგორც ეს კუდავამ ჩაიდინა... უცხოეთიდან მოწვეულმა ა. პატაკი-ჰუნდტმა სულ რაღაც 10 სამუშაო დღეში კონსერვაცია ჩაუტარა მოქვის მთელ ფერწერას — 152 მინიატურას, 530 ასომთავრულს, 4 კამარასა და რამდენიმე ფერწერულ კანონს. რაც დაუჯერებელი, წარმოუდგენელი და დაუშვებელი ფაქტია. ხელნაწერის ფერწერის დასამაგრებლად ა. ჰუნდტმა ზუთხის ბუშტისგან დამზადებული წებო გამოიყენა, რაც ასევე დაუშვებელია, რადგან სამუშაოს დაწყებამდე ამ ტიპის წებოს გასათხელებლად გათბობა სჭირდება და მხოლოდ ამის შემდეგ შეჰყავთ იგი ატკეცილი და ამოწეული საღებავის ქვეშ. ფერწერის ქვეშ შეყვანისას ეს წებო ცივდება, შუშისებრი ხდება და გაშრობისას საღებავზე დამატებით მძიმე ფენად რჩება. დროთა განმავლობაში, ეს ფენა ადვილად იმტვრევა კიდეც, რაც ფერწერის ხელახალი დაზიანების საფრთხეს წარმოადგენს. გარდა ამისა, თევზის წებოთი გამაგრებული ფერწერა დროთა განმავლობაში მუქდება და ლაქებს ტოვებს. ეს წებო დაახლოებით 35-40 წელია უმსხვილეს და წამყვან სარესტავრაციო ცენტრებში ხმარებიდან ამოიღეს. თუმცა, ეს საკითხი კუდავას, ეტყობა, ნაკლებად აღელვებს და მისი ერთადერთი მიზანი „მოქვის სახარების“ პრეზენტაციის ჩატარება და ამ საკითხით ქულების დაწერა იყო. თანაც ისე, რომ ჩემი სახელი არ გაჟღერებულიყო როგორმე...

— **თქვენ რა მეთოდს გამოიყენებდით რესტავრაციისთვის?**

— რუსეთის, ესტონეთისა და სხვა უმსხვილესი ქვეყნების სამეცნიერო სარესტავრაციო ცენტრებში მინიატურების გასამაგრებლად სინთეტიკურ წებო „სევს“ იყენებენ, რომელიც სანკტ-პეტერბურგის წამყვან სამეცნიერო ლაბორატორიებში, მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე მზადდება. წებო „სევი“ სპირტზეა დამზადებული და მალე აქროლადიცაა, გამჭვირვალე, დროთა განმავლობაში ლაქები არ უჩნდება და არც გათბობას საჭიროებს.

— **როგორც ვიცი, 900-მდე ხელნაწერის რესტავრაცია გაქვთ ჩატარებული...**

— უამრავ ხელნაწერს ჩავუტარე რესტავრაცია, მათ შორის ისეთებსაც, როგორიცაა — „ვანის ოთხთავი“, „დაუჯდომელი“, „გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებული“, „ზატიკის ოთხთავი“ და ა.შ. სხვათა შორის, ჩემს მიერ რესტავრირებულ „ვანის ოთხთავს“ 2014 წელს რესტავრირება ხელახლა ჩაუტარეს...

— **თქვენ ამ ხელნაწერზე რომელ წლებში იმუშავეთ?**

— 1979 წელს. სხვათა შორის, „ვანის ოთხთავი“, სხვა ხელნაწერებისგან განსხვავებით, უფრო კარგ მდგომარეობაში იყო... ჯერ ეტრატის ფურცლები გავწმინდე (ოდნავ დასჭირდა შეკეთება), შემდეგ ეტრატის რვეულები ავკინძე, დავგრიხე ფერადი კაპიტალი, ყდისთვის კი მაღალი ხარისხის, გამომშრალი, მოწითალო-ყავისფერი ხის მასალა გამოვიყენე. ბოლოს კი შინდისფერ ტყავში ჩავსვი და ანალოგიური ტყავიდან ყდის შესაკრავი თასმებიც გავუკეთე...

— **შეიძლებოდა ეს ხელნაწერი 2014 წლისთვის უკვე დაზიანებული ყოფილიყო?**

— არავითარ შემთხვევაში, მე ეს ხელნაწერი ბოლოს საცავში 2005 წელს ვნახე, იგი ძალიან კარგ მდგომარეობაში იყო.

— **მაშინ რისთვის დასჭირდათ მისი ხელახლა რესტავრაცია?**

— „ვანის ოთხთავის“ ხელმეორედ რესტავრაციის შესახებ ტელევიზიით გავიგე. სიუჟეტში ნაჩვენები იყო, როგორ აცლიდნენ ხელნაწერს ფერად კაპტალს. ყდა კი უკვე მოხსნილი ჰქონდათ, იქვე ედოთ ახალი ტყავი. კომენტარიდან კი გავიგე, რომ ახალ ყდაში აპირებდნენ ხელნაწერის ჩასმას, რადგან ძველი ყდა თურმე ძლიერ იყო შელახული. აქედან გამომდინარე, ხელნაწერის დაშლის რამდენიმე ეჭვი მესახება: 1. დირექციას სურდა ამ ხელნაწერის რესტავრაციისთვის საჭირო თანხის მოძიება; 2. ჩემს მიერ აღდგენილი ხელნაწერის დარღვევა მოხდა მიზნობრივად, რათა შემდეგ ეთქვათ, რომ ამ უნიკალური ოთხთავის ყდის რესტავრაცია მათ შეასრულეს; 3. ხელნაწერის ხელმეორედ რესტავრაცია ცენტრს დასჭირდა იმიტომ, რომ 9 წლის მანძილზე მას უდიერად ექცეოდნენ და დააზიანეს; 4. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექცია საკუთარი თავის პოპულარიზაციისთვის, უნიკალურ ხელნაწერებს თავიდან არღვევინებს რესტავრატორებს და ტელევიზიით აშუქებს, რომ ეს უნიკალური თამარ მეფის ხელნაწერი მისი დირექტორობის დროს გაკეთდა.

— **თქვენი თქმით, კუდავა ასე სახელის მოსახვეჭად იქცეოდა?**

— დიახ, ასეა და ამის დასადასტურებლად კიდევ ერთ ფაქტსაც მოგიყვანთ — 2006 წლის 2 აგვისტოს ბრძანებით (მაშინ ჯერ კიდევ ცენტრში ვმუშაობდი), რესტავრაციის განყოფილების უფროსს, დარეჯან გოგაშვილს „ჯრუჭის ოთხთავის“ ყდისა და ცალკეული ფურცლების რესტავრაცია დაევალა. ახლადდანიშნული გოგაშვილი ფურცლების რესტავრატორად მუშაობდა და ყდაზე არასოდეს უმუშავია. როგორც ჩანს, კუდავას ჩემი გაშვება უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რადგან ჩემი გასაკეთებელი საქმე ამ დარგში არაკომპეტენტურ თანამშრომელს დაავალა (ინსტიტუტში ყდის აღდგენის ორად-ორი სპეციალისტი — მე და ნატო ჭილაია ვიყავით). თანაც, კუდავამ გოგაშვილს ხელნაწერის სასწრაფოდ აღდგენა დაავალა, რადგან თურმე ამერიკაში გამოფენაზე აპირებდა მის გატანას, არადა მე-10 საუკუნის ხელნაწერის ყდა უზუსტეს და უაღრესად შრომატევად რესტავრაციას საჭიროებდა. მე და ნატო ჭილაია 15 აგვისტოდან ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები აღარ ვიყავით და ეს საქმე სასამართლოში გადავიდა. ჩემმა ადვოკატმა ვ. თალაკვაძემ, კუდავას გოგაშვილის კვალიფიკაციის დამამტკიცებელი ცნობა მოსთხოვა, რაზეც დირექტორმა განაცხადა, რომ — „დარეჯან გოგაშვილი სამხატვრო აკადემიაში, ქაღალდის რესტავრაციაში კითხულობს ლექციებს“, გარდა ამისა, „სტაჟირება ბრიტანეთში გაიარა...“ თუმცა, ჩვენ ეს მონაცემები გადავამოწმეთ. გ. ბუღაძის პასუხში აღმოჩნდა, რომ: „სამხატვრო აკადემიას ბოლო ათწლეულის განმავლობაში საერთოდ არ გააჩნია ქაღალდის სპეციალისტის ფაკულტეტი და არ არსებობს ამ განხრით სასწავლო პროგრამაც“. ბუბა კუდავამ სასამართლოზე ვერც გოგაშვილის ბრიტანეთში სტაჟირების დამადასტურებელი დოკუმენტი წარადგინა.

— **რას იტყვით იმ ბრალდებებზე, რომელიც ბატონი ბუბას მისამართით ბოლო დროს გაჟღერდა?**

— განა ჩემი მთელი მონათხრობიდან არ ჩანს, რომ კუდავა ხელნაწერთა ცენტრს დარღვევებითა და უფლებამოსილების გადამეტებით მართავს?! გარდა ამისა, კუდავასა და კალანდიას მმართველობის პირველივე დღეებიდან ხდებოდა: ერთი კონკრეტული წლის განმავლობაში ორი ერთნაირი ნომრით და სხვადასხვა შინაარსით ბრძანებების გამოქვეყნება, საბუთების „დაკარგვა“ და ა.შ. (ამის დამადასტურებელი არაერთი ოფიციალური მტკიცებულება მომეპოვება).

— **როგორ ფიქრობთ, ხელნაწერთა ცენტრი სამების საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე უნდა გადაიტანონ თუ არა?**

— იცით რომ ფონდი, რომელიც ყველაზე დიდია ხელნაწერთა ინსტიტუტში სულ საეკლესიო საკუთრებაა?! ამიტომ კარგი იქნება, თუ ცენტრი სწორედ სამების ტერიტორიაზე განთავსდება.



№54 (1080) 18 – 19 მაისი, 2015 წელი

ვერსია

# ციფრული მიწისზედა ღია საეთერო ტელემაუწყებლობა — რა ვიკითხოთ სამომხმარებლო ტექნიკის მაღაზიებში?




2015 წლიდან საქართველო ციფრულ მიწისზედა საეთერო მაუწყებლობაზე გადადის. რეფორმის განხორციელება საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) წევრი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს, რომელიც ჟენევის 2006 წლის ხელშეკრულებით განისაზღვრა.

მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, არაერთი აქტივობა განხორციელდა, მათ შორის ერთ-ერთი ცხელი ხაზის ამოქმედებაა. დღეს მოსახლეობას შეუძლია დარეკოს ნომერზე 14 80 და დღე-ღამის ნებისმიერ დროს მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

მოსახლეობის მხრიდან სწორედ ცხელ ხაზზე შემოსული კითხვების მონიტორინგის შედეგად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ შეარჩია მნიშვნელოვანი თემები, რომლებსაც მოსახლეობას ამჯერად პრესის საშუალებით ვთავაზობთ.

ციფრული ღია საეთერო მაუწყებლობის მისაღებად თანამედროვე ტელევიზორის ან სეთ-თოფ ბოქსის შეძენისას მნიშვნელოვანია, მომხმარებელი ტექნიკის მაღაზიაში ინფორმირებული მივიდეს. მან უნდა იცოდეს, თუ რა ფუნქციონალის ტელევიზორი ან მიმღები დასჭირდება ანალოგური მიწისზედა სიგნალის გათიშვის შემდეგ.

საქართველო, რადიოსიხშირეების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების მიზნით, ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების დასანერგად გამოიყენებს დღეისათვის ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ და აპრობირებულ DVB-T2 სტანდარტს, მონაცემთა შემჭიდროების MPEG 4 ტექნოლოგიით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ერთი მულტიპლექს პლატფორმისათვის გამოყოფილი სიხშირული რესურსის ფარგლებში, გავრცელდეს საშუალოდ 15-მდე სტანდარტული გარჩევადობის (SD) ან 4-დან 6-მდე მაღალი გარჩევადობის (HD) სატელევიზიო პროგრამა.

**რა უნდა იკითხოს მომხმარებელმა, როდესაც ყიდულობს ციფრული ღია საეთერო მაუწყებლობისათვის საჭირო სეთ-თოფ ბოქსს**?

თუ მომხმარებლის ტელევიზორი ვერ აკმაყოფილებს საქართველოში ციფრული ტელევიზორებისთვის განკუთვნილ ტექნიკურ მოთხოვნებს, მოუწევს DVB-T2 სტანდარტის მხარდაჭერის მქონე ციფრული სიგნალის ინდივიდუალური მიმღები მოწყობილობის — სეთ-თოფ ბოქსის შეძენა. სასურველია, სეთ-თოფ ბოქსის ფუნქციონალი აკმაყოფილებდეს საქართველოში ინდივიდუალური მიმღები მოწყობილობისთვის შემუშავებულ ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტს.

ციფრული ღია საეთერო მაუწყებლობისთვის განკუთვნილი სეთ-თოფ ბოქსის შერჩევის შემდეგ, მოქალაქემ უნდა სთხოვოს მაღაზიის კონსულტანტს, რომ აღნიშნული მიმღები მიაერთოს ტელევიზორს და ღია საეთერო სამაუწყებლო ანტენას, რათა დარწმუნდეს, რომ პარალელური მაუწყებლობის რეჟიმში (2015 წლის 17 მარტიდან 17 ივნისამდე) იღებს არანაკლებ 8 პროგრამას. მათ შორის: საზოგადოებრივი მაუწყებლის I და II არხები, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი 2“, „იმედი“, „კომედი არხი“, „ტაბულა“ და „GDS“ .

მყიდველი აუცილებლად უნდა დაინტერესდეს, რომ სეთ-თოფ ბოქსს შეუძლია ელექტრონული პროგრამების გზამკვლევის ჩვენება და აგრეთვე, ქართული შრიფტის აღქმა, მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყბელის I და II არხების (GPB 1 და GPB 2) გადაცემის შინაარსი უნდა იკითხებოდეს ქართულ ენაზე.

სასურველია, მოქალაქემ შეამოწმოს, რომ მიმღებს მოჰყვება ქართულენოვანი სამომხმარებლო ინსტრუქცია.

რეკომენდებულია, სეთ-თოფ ბოქსს თან ახლდეს RoHS და CE სერტიფიკატები იმის დასადასტურებლად, რომ საქონელი აკმაყოფილებს ევროკავშირის მიერ დადგენილ მომხმარებელთა უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს.

თუ გაქვთ სურვილი, რომ აღნიშნული სეთ-თოფ ბოქსის საშუალებით მიიღოთ მაღალი გარჩევადობის (HD) პროგრამები, უნდა შეამოწმოთ, აქვს თუ არა მიმღებს HDMI კაბელის შესაერთებელი ინტერფეისი (პორტი).

დამატებით სხვა აქსესუარებთან ერთად ტელევიზორთან მისაერთებლად სეთ-თოფ ბოქსს დასჭირდება HDMI, RCA ან SCART კაბელი.

სეთ-თოფ ბოქსის შეძენისას მნიშვნელოვანია მომხმარებელმა იკითხოს, თუ როგორ მიიღებს ის აპარატის მონტაჟის სერვისს.

მყიდველმა აუცილებლად უნდა შეამოწმოს, მოჰყვება თუ არა სეთ-თოფ ბოქსს საგარანტიო პირობები.

**რა უნდა იკითხოს მომხმარებელმა ტექნიკის მაღაზიაში, როდესაც ტელევიზორს ყიდულობს იმისათვის, რომ მიიღოს ციფრული ღია საეთერო პროგრამები**?

(ასეთ ტელევიზორს ინტეგრირებულს ან iDTV-ს უწოდებენ)

მომხმარებელს, რომელსაც სურს შეიძინოს ახალი, თანამედროვე ტელევიზორი იმისათვის, რომ მიიღოს ციფრული ღია საეთერო პროგრამები, უნდა შეარჩიოს DVB-T2 სტანდარტის მხარდაჭერის მქონე ტელევიზორი. სასურველია, აღნიშნული ტელევიზორის ფუნქციონალი აკმაყოფილებდეს საქართველოში ციფრული ტელევიზორებისთვის შემუშავებულ ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტს.

ტელევიზორის შერჩევის შემდეგ მომხმარებელმა უნდა სთხოვოს მაღაზიის კონსულტანტს, რომ აღნიშნული ტელევიზორი მიაერთოს ღია საეთერო სამაუწყებლო ანტენას, რათა დარწმუნდეს, რომ პარალელური მაუწყებლობის დროს (2015 წლის 17 მარტიდან 17 ივნისამდე) იღებს არანაკლებ 8 პროგრამას. მათ შორის: საზოგადოებრივი მაუწყებლის I და II არხები, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი 2“, „იმედი“, „კომედი არხი“, „ტაბულა“ და „GDS“ .

რეკომენდებულია, ტელევიზორს თან ახლდეს RoHS და CE სერტიფიკატები იმის დასადასტურებლად, რომ საქონელი აკმაყოფილებს ევროკავშირის მიერ დადგენილ მომხმარებელთა უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს.

მომხმარებელი აუცილებლად უნდა დაინტერესდეს, რომ აღნიშნულ ტელევიზორს შეუძლია ელექტრონული პროგრამების გზამკვლევის ჩვენება და აგრეთვე, ქართული შრიფტის აღქმა, მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყბელის I და II არხების (GPB 1 და GPB 2) გადაცემის შინაარსი იკითხება ქართულ ენაზე.

სასურველია, ტელევიზორს თან ახლდეს ქართულენოვანი სამომხმარებლო ინსტრუქცია.

მყიდველმა აუცილებლად უნდა შეამოწმოს, მოჰყვება თუ არა ტელევიზორს საგარანტიო პირობები.

**როგორ მივიღოთ გარანტირებულად ციფრული ღია საეთერო სიგნალი, თუ გვაქვს თანამედროვე, DVB-T2 სტანდარტის მხარდაჭერის მქონე ტელევიზორი**?

თუ სარგებლობთ DVB-T2 სტანდარტის მხარდაჭერის მქონე ტელევიზორით (ე.წ. iDTV), ციფრული მიწისზედა ღია საეთერო სიგნალის მისაღებად დაგჭირდებათ:

ანტენა — მოსახლეობას გამოადგება იგივე მეტრული და დეციმეტრული დიაპაზონის მქონე ანტენა, რომელსაც ანალოგური სიგნალის მიღებისას იყენებდა. ეს შეიძლება იყოს შენობის სახურავზე დამონტაჟებული ან, ცალკეულ შემთხვევებში, სატელევიზიო ანძისკენ მიმართული სახლის ანტენა.

ანტენის დიაპაზონები უნდა იყოს 174-230 მჰც სიხშირეები VHF სიხშირულ ზოლში და 470-694 მჰც სიხშირეები სიხშირულ ზოლში.

კაბელი — ციფრული საეთერო სიგნალის მისაღებად დაგჭირდებათ: სტანდარტული 75 ომი ტალღური წინაღობის მქონე კოაქსიალური კაბელი, ე.წ. „სატელევიზიო კაბელი“.

სახელმწიფო მულტიპლექს პლატფორმის სიხშირეები და არხის ნომრები მთელი საქართველოსთვის ნაჩვენებია ბმულზე: http://gncc.ge/uploads/other/0/499.xls

შეერთების სქემა და ტექნიკური პარამეტრების გადაწყობის თანმიმდევრობა იხილეთ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე: www.digitaltv.ge, სოციალურ ქსელში www.facebook.com/digitaltv.ge ან დარეკეთ ცხელ ხაზზე: 1480.



## ცნობილი ადამიანები ზაზა აბაშიძეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე არჩევას ულოცავენ

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორად საკონკურსო კომისიამ ზაზა აბაშიძე შეარჩია, რაც მისი კოლეგებსა და სხვა ცნობილი ადამიანებისთვის მეტად სასიხარულო ფაქტია. როგორც მათ მილოცვაშია ნათქვამი, ქართველი ხალხისთვის საამაყოა, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ყველასთვის საყვარელი და ღირსეული პიროვნება ზაზა აბაშიძე გახდა.

**„მისი ბიოგრაფიიდან, მოღვაწეობიდან თუ პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, ის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცული უძველესი ხელნაწერების თავდადებული მცვლი გახდება, რადგან პიროვნული მრწამსით, ის დღემდე ასრულებს ამ მისიას.**

**ზაზა აბაშიძის აღნიშნულ თანამდებობაზე შერჩევა საყურადღებოა იმ კუთხითაც, რომ ის არა მხოლოდ გამოჩენილი ისტორიკოსი, არამედ არქივმცოდნეობის ინსტიტუტის ისტორია-არქივმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. გახლავთ ათობით ნაშრომის ავტორი და მუშაობდა ისეთ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, როგორიცაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თუ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, საქართველოს ეროვნული არქივის თავმჯდომარის მრჩეველი თუ საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო-საენციკლოპედიო ცენტრის ხელმძღვანელი. ამასთან, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრიას სახელობის ქართული უნივერსიტეტის საეკლესიო ისტორიისა და სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი და ა.შ. რელიგიის მცოდნეობის სპეციალობით, მას სტაჟირება ოქსფორდის უნივერსიტეტში, აღმოსავლეთის ეკლესიათა ისტორიის სპეციალობით კი, სტაჟირება რეგენსბურგის აღმოსავლეთის ეკლესიათა ინსტიტუტში აქვს გავლილი. სწორედ მისი მოღვაწეობიდან გამომდინარე, ის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში თავმოყრილ წიგნთსაცავსა თუ კერძო კოლექციაში დაცული ქართული კულტურისა და ისტორიის უმნიშვნელოვანესი საგანძურის დაცვაში.**

**ვულოცავთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს ღირსეული თანამშრომლისა და ხელმძღვანელის შეძენას. ეჭვგარეშეა, მასთან ერთად, ისინი უფრო ღირსეულად გააგრძელებენ იმ მამულიშვილური საქმის კეთებას, რასაც აქამდეც თავდაუზოგავად აკეთებდნენ“,** — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს მარიკა ლორთქიფანიძე, გიორგი ოთხმეზური, გურამ დოჩანაშვილი, გია მირზაშვილი, ნინო ფერაძე, გიგიშა პაჭკორია, დავით აბესაძე, ვახტანგ ჭელიძე, ია გიგოშვილი, ოთარ ვეფხვაძე, მალხაზ თავართქილაძე აწერენ.

***„ვერსიანიუსი“***

## მთავრობა ერთ თვეში მეჩაიეობის განვითარების ახალ პროგრამას წარადგენს



ამის შესახებ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს გურიაში, რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის პრეზენტაციის შემდეგ განუცხადა. მთავრობის მეთაურის თქმით, გურიას ამ მიმართულებით ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს.

**„წლების განმავლობაში, ჩაის და წარმოების განვითარებას ყურადღება არ ექცეოდა. ჩვენ მნიშვნელოვან ცვლილებებს განვახორციელებთ ამ მიმართულებით და მიმაჩნია, რომ ეს იქნება კიდევ ერთი წარმატებული პროგრამა“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ხელისუფლება ასევე მუშაობს მთის კურორტების განვითარების, მათ შორის გომისმთის უნიკალური ტურისტული პოტენციალის ათვისების მიმართულებით; ასევე მუშავდება ბახმაროს კონცეფცია.

***„ჯი-ეიჩ-ენი“***



# ვაზიანის აეროდრომზე ქართულ-ამერიკული საველე ტაქტიკური წვრთნა გაიმართა

ქართულ-ამერიკული სამხედრო სწავლების „ღირსეული პარტნიორი“ ფარგლებში, ვაზიანის აეროდრომის ტერიტორიაზე ბატალიონის დონის საველე ტაქტიკური წვრთნა გაიმართა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, სწავლებაში 300-მდე ქართველმა და ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა. ტაქტიკურ წვრთნას აშშ-ს 173-ე სადესანტო ბრიგადის მეთაური, პოლკოვნიკი მაიკლ ფოსტერი აკვირდებოდა.

იმიტირებული სცენარის მიხედვით, პირობითი მოწინააღმდეგე დასახლებულ პუნქტში გამაგრდა და აეროპორტი დაიკავა. ქართულ-ამერიკული ქვედანაყოფების მიზანი დასახლებულ პუნქტზე იერიშის მიტანა და მოწინააღმდეგისგან ტერიტორიისა და აეროპორტის გათავისუფლება იყო. ამოცანის შესრულების შემდეგ, სამხედროები ოპერაციის რაიონში გამაგრდნენ. სწავლებაში ამერიკული ქვეითთა საბრძოლო მანქანები „ბრედლი“ და ქართულ შეიარაღებაში არსებული ქვეითთა საბრძოლო მანქანები ქსმ-2 მონაწილეობდა.

„ღირსეული პარტნიორი“ საქართველოში პირველად ტარდება და ქართული ასეულის ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF) მონაწილეობისთვის მზადყოფნის ამაღლებას ისახავს მიზნად. სწავლება 11 მაისს დაიწყო და 24 მაისს ოფიციალურად დაიხურება. წვრთნაში დაახლოებით 600 ქართველი და ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს. ქართულ-ამერიკულ ერთობლივ წვრთნაში საქართველოს შეიარაღებული ძალები I ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის „ალფა“ ასეულით, IV მექანიზირებული ბრიგადის 42-ე ბატალიონის I მექანიზირებული ასეულითა და სამხედრო პოლიციის ოცეულითაა წარმოდგენილი.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ნიკუშა შენგელაია: „ივანიშვილს ჩემთვის იმედი არ გაუცრუებია!“

ნათია აბაშიძე

**მხატვარი ნიკუშა შენგელაია ქართულ პოლიტიკურ მოვლენებში ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის დროიდანაა ჩართული. 2012 წელს კი, კულტურის არაერთ წარმომადგენელთან ერთად, მხარს „ქართულ ოცნებას“ უჭერდა და ზოგიერთი მათგანისგან განსხვავებით, ამ საკითხზე მოსაზრება დღემდე არ შეუცვლია. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „ვერსიას“ ნიკუშა შენგელაია ესაუბრა.**



**— ნიკუშა, ეროვნული მოძრაობიდან მოყოლებული, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ხართ ჩართული...**

— დავაკონკრეტებ: როგორც საზოგადოების წევრი და ჩემი ქვეყნის ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე, რომელსაც თავის ქვეყანაზე გული შესტკივა...

**— აქედან გამომდინარე, ალბათ, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების შეფასებაც კარგად შეგიძლიათ...**

— კი ბატონო, მკითხეთ...

**— „ქართული ოცნების“ მიმართ საზოგადოებაში დიდი მოლოდინი არსებობდა, როგორ ფიქრობთ, მთავრობამ ხალხს იმედი გაუცრუა?**

— საერთოდ, მოლოდინი ყოველთვის უფრო მეტია ადამიანებში, ვიდრე რეალურად ხდება ხოლმე, მით უმეტეს, თუ საქმე შენი ქვეყნის, შენი ოჯახის განვითარებას ეხება... გარკვეულწილად, ყველა ადამიანში არსებობს რაღაც დოზით იდეალისტი, ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ადამიანები მომავალს იმაზე უფრო ოპტიმისტურად გეგმავენ, ვიდრე ეს რეალობაში ხდება.

**— არ გგონიათ, რომ ეს იმედი „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებებმა და ამავდროულად, ბიძინა ივანიშვილის დიდმა ნდობამაც განაპირობა?**

— ბიძინა ივანიშვილს ეს საერთოდ არ უკავშირდება... საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან ასეა, დეკლარაციას რომ მოეწერა ხელი, მას შემდეგ... მანამდე, დიდი ხნის განმავლობაში არ ვიყავით პასუხისმგებელნი ჩვენს ქვეყანაზე და ძალიან გვიან ავიღეთ ეს პასუხისმგებლობა... ამის შემდეგ, ბევრ საკითხში მოვიქეცით არასწორად — გამოვაჩინეთ არა რეალისტური და ბრძნული, არამედ, უფრო ემოციებზე დაყრდნობილი თვისებები, რამაც დიდი პრობლემები შეუქმნა ჩვენს ქვეყანას, როგორც დემოგრაფიულად, ისე — ტერიტორიულად, პოლიტიკურად და ა.შ. აქ ივანიშვილი არაფერ შუაშია, მას ჩემთვის იმედი არ გაუცრუებია. ვთვლი, რომ ერთი კი არა, ათასი კაცის გასაკეთებელი სიკეთე გაუკეთა თავის ქვეყანას. განა, ბევრი იცით ისეთი, ვინც მთელი თავისი პოტენციალითა და შრომით მოზიდული რესურსების თითქმის ერთი მესამედი თავის ქვეყანაში ჩადო?! ასე რომ, მადლიერების მეტი ამ ადამიანის მიმართ არაფერი გვმართებს. მერწმუნეთ, მისით ნებისმიერი ერი იამაყებდა!

**— ბოლო დროს, საქართველოში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა ხელისუფლების სისუსტეზე მიანიშნებს თუ არა?**

— ბუნებრივია, რომ ხალხს ყოველთვის ექნება უკეთესი მდგომარეობის მოთხოვნილება, მაგრამ რეალობა სწორად უნდა შეფასდეს და კარგად უნდა გავაანალიზოთ — სად ვართ, რა სამეზობლო გვყავს, რა ეკონომიკა გვაქვს, რისი წარმოება შეგვიძლია და ა.შ. ყველაფერი ეს კი პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. ჩვენ ხომ არც ოქრო გვაქვს და არც ნავთობი... ამაზე არც ერთ წინა მთავრობას არ უზრუნია... მათი საზრუნავი მხოლოდ თავიანთი ინტერესების გატარება, ძალაუფლებაზე ფიქრი და ხალხთან ჭიდილი იყო. ამ გარემოში კი ხალხს თავისუფლება მაინც აქვს და არც თავისი აზრის ხმამაღლა გამოთქმის ეშინია. ყველაფრის გამოსწორებას დრო და ბევრი მუშაობა სჭირდება.

**— თუმცა, თუ ლარის კურსის ვარდნა ასეთი ტემპით გაგრძელდა, სიტუაციის გამოსწორება მარტივი ნამდვილად აღარ იქნება.**

— ფინანსისტი არ ვარ, ამიტომ მთლად კომპეტენტური ამ საკითხში ვერ ვიქნები, მაგრამ ჩემს აზრს გამოვთქვამ და ვიტყვი, რომ არანაირი კოსმიური კითხვისნიშნები არ არის, ეს ჩვეულებრივი ამბავია... ყველაფერ ამის მიზეზი, ალბათ, მთელი რიგი საგარეო ფაქტორებია, არ გამოვრიცხავ, საშინაო ფაქტორებიც არსებობდეს... ყველაფერში რომ მხოლოდ მთავრობას ადანაშაულებენ, როგორ გგონიათ, ჩვენს მთავრობას ხალხის კეთილდღეობა არ უნდა? შესაძლებლობების ფარგლებში ხომ ყველაფერი კეთდება. აი, მაგალითად, ხშირად მომისმენია ენერგეტიკის მინისტრის მისამართით გამოთქმული კრიტიკა, გაზის და ელექტროენერგიის ტარიფებია ძვირიო... კალაძის კრიტიკა რა შუაშია მაშინ, როცა საქმე ელემენტარულ მათემატიკასთან გვაქვს — ელექტროენერგიისა და გაზის რესურსი ჩვენს ქვეყანაში მეზობელი ქვეყნებიდან შემოდის და ის ქვეყნები თუ ტარიფს გაგვიძვირებენ, კალაძემ რა ქნას? ზოგადად ვიცი, რომ ეს ადამიანი ყველაფერს აკეთებს ადგილობრივი რესურსების — ქარისა და წყლის რაციონალურად გამოსაყენებლად, შენდება კაშხლები, თბოელექტროსადგურები... უბრალოდ, მივეჩვიეთ, ყველაფერი მინისტრებს მოვთხოვოთ, იმას კი არ ვფიქრობთ, რეალურად რა შესაძლებლობები აქვს ამა თუ იმ სამინისტროს. გარწმუნებთ, ვინც უნდა დანიშნულიყო ენერგეტიკის მინისტრად, კალაძეზე უკეთ საქმეს ვერავინ გააკეთებდა...

ცხრა წელი ატყუებდა ხალხს სააკაშვილი და გაიძახოდა, ორ წელიწადში შვეიცარია გავხდებით, კიდევ ორ წელიწადში ნატო-ში შევალთო და ა.შ. ეტყობა, ხალხმაც დაიჯერა და დღესაც ამას ითხოვს, არადა, ყველაფერი ასე მარტივად არ არის. ყველა ქვეყანას თავისი ისტორია აქვს, ყველაფერს კი, თავისი დრო...

**— რა აზრის ხართ ნაციონალური მოძრაობის რებრენდინგსა და უკრაინის მთავრობაში ნაციონალების მოღვაწეობაზე?**

— ჯერ უკრაინაში, ახლა მოლდოვაში... ეგენი იმდენს იმოგზაურებენ, მოღვაწეობას ბოლოს, მგონი, ვანუატუში დაამთავრებენ... აბა, საქართველოს ხელისუფლებაში მაგათი დაბრუნება და რებრენდინგი გამორიცხულია, მაშინ ამნეზია უნდა დაგვემართოს და ეგაა.

## ვერსიანიუსი



# რიჩარდ ნორლანდი: „არავინ უნდა იყოს ძალადობის მსხვერპლი!“

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა, რიჩარდ ნორლანდმა ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც განმარტავს, ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება, რომ მისი პოტენციალი სრულად იყოს რეალიზებული.

**„17 მაისს ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის მე-11 წლისთავი აღინიშნება. ამ დღეს, კიდევ ერთხელ, მხარს ვუჭერთ ყველა ადამიანის თანასწორობასა და ღირსებას და ვადასტურებთ, რომ ადამიანის უფლებები უნივერსალურია. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება, მისი პოტენციალი სრულად იყოს რეალიზებული. არავინ უნდა იყოს ძალადობის ან დისკრიმინაციის მსხვერპლი, მიუხედავად მათი სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობისა. ვუერთდებით ყველას, ვინც საქართველოში ამ დღის მშვიდობიანი აღნიშვნისათვის შრომობს“,** — ნათქვამია რიჩარდ ნორლანდის განცხადებაში.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტს სიკვდილით დასჯიან

ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტ მუჰამედ მურსის სასამართლომ 2011 წელს ერთ-ერთი ციხიდან პატიმრების მასობრივი გაქცევის საქმესთან დაკავშირებით სიკვდილი მიუსაჯა.

ყოფილ ისლამისტ ლიდერს გასულ თვეს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა კიდევ ერთი ბრალდების — 2013 წელს მასობრივი დემონსტრაციების დროს აქტივისტების წამებისა და დაკავების ბრძანების გაცემის გამო მიუსაჯეს.

მუჰამედ მურსი 2013 წლის ივლისში გადააყენეს. იგი პირველი დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტი იყო. მისი გადაყენების შემდეგ ეგვიპტის სათავეში მოსულმა მთავრობამ მოძრაობა „ძმები მუსულმანები“ აკრძალა, მისი ათასობით მხარდამჭერი კი დააკავა.

*„ინტერპრესნიუსი“*



# კულტურის მინისტრი შესაძლოა საერთაშორისო სკანდალში გაეხვიოს

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

**ქართველი კინორეჟისორი გიორგი კაჭარავა, რომელსაც საზოგადოება ფილმებით — „მაიტა ნასოსი“, „დონ ჟუანის დაბადება“ და „ბლუზი“ იცნობს, მეშვიდე დღეა, კულტურის სამინისტროსთან შიმშილობს და ამბობს, არ დავნებდები, ვიდრე ჩემს დაწყებულ საქმეს ბოლომდე არ მივიყვან. კულტურის მინისტრმა, მიხეილ გიორგაძემ ჩემი ღირსება შელახა და თუ საჭირო გახდა, ამ საქმეს შევეწირები კიდეცო. კაჭარავას საქმე კი ასეთია: 12 მაისს, საფრანგეთში კანის კინოფესტივალ „2015 Short Film Corner“-ზე იყო მიწვეული, თუმცა რიგი მიზეზების გამო, გამგზავრება ვერ მოახერხა. როგორც რეჟისორმა „ვერსიასთან“ საუბრისას განაცხადა, აღნიშნული ღონისძიება მხოლოდ საერთაშორისო მნიშვნელობის და პრესტიჟული კი არა, იმ კუთხითაცაა საჭირო, რომ ფესტივალზე დამსწრე რეჟისორებს შესაძლებლობა აქვთ, პოტენციურ პროდიუსერებს გაეცნონ და ფილმისთვის საჭირო დაფინანსება მოიპოვონ.**




## „მთავრობა მკვდარ გია კაჭარავას მიიღებს!“ — რეჟისორის ცისფერი მთები ანუ რატომ ვერ მოხვდა კანში

სხვათა შორის, ფილმის ფესტივალზე წარსადგენი თანხა რეჟისორმა საკუთარი ჯიბიდან გადაიხადა, რადგანაც კულტურის სამინისტროში განუცხადეს, რომ ფილმი საფესტივალო ტრენდს არ აკმაყოფილებდა. როგორც კაჭარავა ამბობს, ეს მისთვის სიახლე არ ყოფილა და რეგულაციები, რომლითაც კომისია ფილმებს განიხილავს, დღემდე გაუგებარია. მოთმინების ფიალა მაშინ აევსო, როდესაც ქართველი კრიტიკოსების მიერ დაწუნებული ფილმი კანში მოიწონეს და მიიწვიეს. სკანდალიც სწორედ ამის შემდეგ დაიწყო: რეჟისორის განმარტებით, უწყებამ აღიარება, რომ მის მიერ დაწუნებული ფილმი ქვეყნის საზღვრებს გასცდა, არ მოისურვა, ამიტომაც კაჭარავას წინააღმდეგ ჭორი „დაყარა“ — ტყუის და ფილმი კანში წარდგენილი რეალურად არ ყოფილაო. „ღირსების შელახვისთვის“ ქართველი რეჟისორი კინოცენტრისგან მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს, კულტურის მინისტრის, მიხეილ გიორგაძის წინააღმდეგ კი ტყუილისთვის სასამართლოში ჩივილს აპირებს.

— ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ჩემდა საუბედუროდ, კანის ფესტივალზე ჩემი ფილმი „ჩაო ჯორდანო“ გავგზავნე, რაც მოგეხსენებათ, იოლი არაა — ყველაფერი თანხებთანაა დაკავშირებული. კანის მიერ დაწესებული საწევრო გადასახადი სასაცილო თანხაა, მაგრამ ჩვენთვის 50 და 100 ევროც მაშინ, როდესაც საკუთარი ჯიბიდან ვიხდით, ფულია. ჩემი ფილმი „2015 Short Film Corner“-ზე იქნა წარდგენილი, მაგრამ კულტურის მინისტრი გამოდის და ამბობს, რომ კანში ჩემი ფილმი თითქოს წარდგენილი არ იყო, რაც ტყუილია. გპირდებით, ამაზე მინისტრს პასუხის გაცემა სასამართლოში მოუწევს. როცა ტელევიზიით გამოდიხარ და ცრუობ, საკითხში გარკვეული მაინც ხომ უნდა იყო?! ეს დისკრედიტაციაა! თუ ფესტივალის მონაწილე არ ვარ, მაშინ მიპასუხეთ: შეიძლება, კანის ფესტივალის კატალოგში ვიყო? საერთაშორისო სკანდალი წინ არის! თუ მინისტრი იტყვის, გიორგი კაჭარავასთან მიმართებაში არაკომპეტენტური ვიყავიო, მისი პრობლემაა. კინოცენტრს კი არამცთუ პასუხის გაცემა მოუწევს, არამედ, მისგან კინობაზარზე ჩემი ფილმის სავარაუდო მოგების თანხის ტოლფას მორალურ ანაზღაურებას მოვთხოვ. კინოცენტრის ხელმძღვანელებიც უნდა წავიდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მთავრობა მკვდარ გია კაჭარავას მიიღებს. შიმშილობას არ შევწყვეტ — ასეთი შეურაცხყოფილი შინ არ წავალ!

**— ბატონო გია, როგორც ვიცი, წინა მთავრობის დროსაც შიმშილობდით, მაშინ რაღას ითხოვდით?**

— წინა მთავრობის დროს გასაქანს ერთი პატარა მიზეზის გამო არ მაძლევდნენ. ყველაფერი 2004 წელს დაიწყო, როცა მთავრობამ ახალი ბიუჯეტი გამოიტანა და აღმოჩნდა, რომ კინოს განვითარებისთვის მხოლოდ 900 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. ეს თანხა განვითარებას კი არა, დასაფლავებას თუ ეყოფოდა. ამის გაპროტესტება დავიწყე — ვიფიქრე, პროტესტი ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა და შიმშილობა დავიწყე. ატყდა ვაი-ვიში და მთავრობამ მაშინვე მტრად გამომაცხადა. კულტურის მაშინდელ მინისტრს, გოკა გაბაშვილს შევხვდი და მითხრა, ჩემს წინააღმდეგ რატომ მიდიხარო. არადა, მისი კი არა, სისტემის წინააღმდეგ მივდიოდი იმიტომ, რომ გაუგონარი რამ ხდებოდა... ფულს ჩემთვის კი არა, ჩვენი ხალხისთვის — კინემატოგრაფიისთვის, იმისთვის ვითხოვდი, რომ ქართული კინო არ ჩამკვდარიყო. ეს ჩვენი ღირსებაა. სამწუხაროდ, მაშინ არაფერი გამოვიდა და ბრაზილიაში წავედი. ჩასვლისთანავე მოვითხოვე პოლიტიკური თავშესაფარი. იქ 5 წელი ვიყავი. ბრაზილიის კინემატოგრაფიის კავშირის წევრი გავხდი, არადა „ქართული კინემატოგრაფიის კავშირის“ წევრი არ ვარ. 2008-ში ომი დაიწყო და მორალური უფლება არ მქონდა, არ ჩამოვსულიყავი...

**— შიმშილი პროტესტის უკიდურესი ფორმაა, მაგრამ თუ ახლაც ვერაფერს მიაღწევთ, რას იზამთ, ისევ ქვეყნიდან წახვალთ?**

— წასვლას არსად ვაპირებ. არ დავნებდები! იმდენხანს ვიშიმშილებ, რამდენ ხანსაც ფიზიკურად გავძლებ! ხალხმა უნდა იცოდეს, რომ არ ვტყუი. ეს ხმა განზრახ დამიყარეს.

**„ვერსიას“ კულტურის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტის კინოს მიმართულების კოორდინატორმა, ნანა დოლიძემ განუცხადა, რომ რეჟისორ გია კაჭარავას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არა მოწვევას, არამედ, „2015 Short Film Corner“-ის ერთ-ერთ სექციაში დარეგისტრირებას ნიშნავდა. მისივე თქმით, წელს კანის კინოფესტივალზე საქართველოს მხრიდან არც საკონკურსო და არც არასაკონკურსო ღონისძიებაზე მიწვეული არავინ ყოფილა, მათ შორის, არც გია კაჭარავა.**

**— ქალბატონო ნანა, კაჭარავა ამბობს, კანში მიმიწვიესო, თქვენ კი განმარტავთ, ეს სიმართლე არააო. რა ხდება?**

— სამინისტროში შემოვიდა არაოფიციალური წერილი.

**— ეს რას ნიშნავს?**

— განმცხადებელი პროექტს სამინისტროს მისამართზე გვიგზავნის. ამ წერილს კი არაოფიციალური სტატუსი იმიტომ მიენიჭა, რომ მინისტრის თანაშემწის ელექტრონულ მისამართზე შემოვიდა, რომელმაც საქმის კურსში მინისტრი და დარგობრივი დეპარტამენტი, ამ შემთხვევაში, ჩვენ ჩაგვაყენა. დავუკავშირდით რეჟისორს და შევეცადეთ, დაგვედგინა, საუბარი რაზე იყო. ვთხოვეთ, გადმოეგზავნა შესაბამისი დოკუმენტაცია, რადგან მხოლოდ ბრუნოს წერილი საკმარისი არაა (წერილი სწორედ მისგან შემოვიდა). ვთხოვეთ, გადმოეგზავნა კანის კინოფესტივალის მოწვევა. მან კი გადმოგზავნა რეგისტრაციის მოწმობა.

**— რეგისტრაციის მოწმობა რას ნიშნავს?**

— კანს, როგორც საკონკურსო, ასევე არასაკონკურსო პროგრამა აქვს, ერთიცა და მეორეც პრესტიჟული პროგრამაა, მაგრამ ეს სექცია დამატებითი შესაძლებლობაა, ფილმმა პროდიუსერი იპოვოს, რეჟისორებმა ერთმანეთი გაიცნონ და ა.შ. ეს სექცია ბაზრობის ფარგლებშია — წარმოიდგინეთ გრძელი დერეფანი, ვიდეოთეკის პლატფორმა, სადაც ასობით ქვეყანა და ათასობით ადამიანია.

**— ეს პლატფორმა პრესტიჟულია?**

— ზოგადად, ნებისმიერ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა ძალიან კარგია, მაგრამ ამ კონკრეტულ სექციაში ფილმების რეგისტრაცია ძალიან მარტივად ხდება: რეჟისორი ელექტრონულად იხდის თანხას. მთავარია, დააკმაყოფილოს საკმაოდ მარტივი კრიტერიუმები, მაგალითად ის, რომ ფილმი წარმოებული იყოს 2014 წლამდე და ეკრანზე გაშვებული არ იყოს. ამ ღონისძიებაზე საქართველოდან არავინ გასულა.



**ამ ინფორმაციის გადამოწმება „ვერსიამ“ გიორგი კაჭარავასთან სცადა. ამ დროს სამინისტროდან ნანა დოლიძე გამოვიდა, რომელმაც გვერდი არ აგვიარა:**

**გია კაჭარავა:** — ქალბატონო ნანა, მართალია, რაც თქვით?

**ნანა დოლიძე:** — კი, ბატონო გია, თქვენს მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია იმას ნიშნავს, რომ კანში დარეგისტრირდით მხოლოდ და მხოლოდ შესაბამის სექციაში. იქ დარეგისტრირება კი შეუძლია ყველა ადამიანს, რომელიც დააკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმს.

**გია კაჭარავა:** — ქალბატონო ნანა, დიახ, მაქვს ის წერილი, სადაც ნათქვამია, რომ ჩემი ფილმი აკმაყოფილებს შესაბამის რეგულაციებს.

**ნანა დოლიძე:** — ბატონო გია, იქ ხომ რეგისტრაციის საფასურს იხდით?

**გია კაჭარავა:** — არაფერს, როგორ გეკადრებათ.

**ნანა დოლიძე:** — თქვენ, რა, არ გადაიხადეთ 90 ევრო?

**გია კაჭარავა:** — გაგზავნის 90 ევრო? კი ბატონო, გადავიხადე, მაგრამ ეს არის თანხა, რომლის გადახდაც ნებისმიერ ფესტივალზეა საჭირო. ეს არის საწევრო თანხა. იცით თუ არა, რომ ეს გარანტია არ არის? შესაძლოა, გადავიხადო თანხა, მაგრამ მოვიდეს პასუხი, თქვენი ფილმი ვერ ავარჩიეთო. ამ შემთხვევაში, ფულს არავინ მიბრუნებს. ჩემმა ფილმმა კი ეს ბარიერები გადალახა და 14 ფილმშიც გავიდა, რის გამოც, ლოგოს გამოყენების უფლებაც კი მაქვს. ეს ლოგო მხოლოდ 14 ფილმს აქვს მინიჭებული. დანარჩენები, იქ ყოფნისთვის ფულს იხდიან ისევე, როგორც თქვენი კინოცენტრი.

**ნანა დოლიძე:** — არა, ბატონო გია, ჩვენგან არავინ წასულა.

**გია კაჭარავა:** — როგორ არ წასულა?

**ნანა დოლიძე:** — დიახ, არ წასულა. საკონკურსო და არასაკონკურსო პროგრამაში ქართული ფილმი არ მონაწილეობს, თუმცა ჩვენი დელეგაცია წავიდა.

**გია კაჭარავა:** — მით უმეტეს, რომ ქართული ფილმი არ მონაწილეობს და დელეგაცია მაინც წავიდა. ყოველ წელსაა ტრანსლირება ხან „რუსთავი 2“-ზე, ხან „იმედზე“. წელს არაფერი ყოფილა და იცით, რატომ? — ხალხი იფიქრებს, კაცო, გია კაჭარავას ფილმი აირჩიეს, ფესტივალზე არ წასულა და ამათ რაღა უნდათო. ეს 8 კაცი კანში სახელმწიფო ხარჯით წავიდა თუ საკუთარი? — მიპასუხეთ!

**ნანა დოლიძე:** — კინოცენტრს აქვს ამისთვის გამოყოფილი სახსრები, ბატონო გია. მოდით, ახლა სხვა რამეზე გავაკეთოთ აქცენტი: სამინისტროსთვის არ მოგიმართავთ შესაბამისი დოკუმენტაციით.

**გია კაჭარავა:** — რას მეუბნებით, ქალბატონო ნანა. კინოცენტრს შავ სიაში ვყავარ და რა უნდა მომეტანა? სცენარია და, ვკითხულობ, ვინ დამიწერა ორიანი-თქო და ვერ განახებთ, კანონი არ ითვალისწინებსო. ვეუბნები, ფილმი გადავიღე, მომეხმარეთ, კინოფესტივალზე გამაგზავნინეთ-თქო და მეუბნებით, ფილმი არ ვარგა და არ გავაგზავნითო. გეკითხებით, რანაირად მოვიდე თქვენთან? დაგიჩოქოთ? არა, ბატონო, ამას არ ვიზამ!

**საუბარი დასრულებულია — ნანა დოლიძე რეპეტიციაზე მიიჩქარის. გია კაჭარავა კი კულტურის სამინისტროსთან კვლავ შიმშილობს...**

პატიმარი №0578

**გაგიკვირდებათ და, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ყოფილ მხედრიონელებს დიდად არ სწყალობენ. უფრო სწორედ, თუ იციან, რომ კონკრეტული პირი ამ ორგანიზაციასთან აქტიურად იყო დაკავშირებული, ამრეზით უყურებენ. რეალურადაც, მხედრიონის სახელით ხომ ძალიან ბევრი სიბინძურე გაკეთდა და მასთან ასოცირებულ ადამიანებს, სამეგრელოში დატრიალებული ამბების გამო, განსაკუთრებით მეგრელები ვერ იტანენ. ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა, რა თქმა უნდა, უსამართლობა იქნება, მაგრამ ფაქტია: მხედრიონის სახელით საქართველოში სისხლის კალო არაერთ ქალაქში დატრიალდა...**

# ოდესაში მხედრიონელი ზურა ჩაცხრილეს

## კრიმინალურ ავტორიტეტ გენოს ოჯახური ტრაგედია



„სალამი, ბატონო გენო. როგორ ბრძანდებით? რამ შეგაწუხათ, აქ რომ მობრძანდით?!“ — პატიმარი №0578 ბავშვობის მეგობარ გენოს რუსთავის №17 დაწესებულებაში შეხვდა, გულითადად მიესალმა და გადაეხვია.

გენო მ. მურტალოსავით იყო — ადგილობრივ ხელისუფლებას არ აწუხებდა და საასპარეზოდ ოდესა ჰქონდა არჩეული, მაგრამ ჩამოვიდა საქართველოში, აქ ტვინი შეუჭამეს, გინდა თუ არა, კრიმინალური ავტორიტეტი ხარო და როცა მიხვდნენ, გენო საქართველოში არაფრის გაფუჭებას აპირებდა, „ყოველი შემთხვევისთვის“, იარაღი ჩაუდეს და სამი წლით გისოსებსმიღმა გაისტუმრეს. გენოს სახელი და ავტორიტეტი ყველამ იცოდა, ამიტომ მას მაშინვე სასათბურე პირობები შეუქმნეს — კარგი საკანი, კარგი ლეიბი, ბალიში და ისიც მოეწყო. სამი წელი ჩემი გამშვები არავინ არის და რატომ ტრაპზე არ მომტყდა ფეხი, საქართველოში რომ ვბრუნდებოდიო. უკრაინაში აწყობილი ბიზნესის კონტროლს ციხიდან ცდილობდა, მაგრამ კვირაში ერთხელ ახერხებდა დარეკვას, დანარჩენ დღეებში საზღვარგარეთ არავინ არეკინებდა და თავადაც ხვდებოდა, რომ ბიზნესის სათავეები ხელიდან გაურბოდა. მართალია, უკრაინიდან ფულს ყოველთვიურად უგზავნიდნენ მასაც და მის ოჯახსაც, მაგრამ გენომ ხომ ყველაზე კარგად იცოდა, რა ერგებოდა და რა ხვდებოდა.

„მეტი რა გინდა? ოჯახში რამდენიმე ათასი მიდის ყოველდღე, აქაც არაფერი გაკლია, დაისვენე, რა. სულ ნერვებზე როდემდე უნდა იყო? გაგაგიჟებს სამი წლის განმავლობაში ამდენი ნერვიულობა“, — ღიმილით ეუბნებოდა №0578, მაგრამ გენო აშკარად ცოფდებოდა ყოველი დარეკვის შემდეგ. ერთ დღეს კი...

„ეს არის, ჩეჩნები უღალატო ხალხიაო?! ჩემი ერთი პარტნიორი ჩეჩენია, მეორე — თბილისელი და ახლა ის ჩეჩენი მართავს ყველაფერს. ამ დებილს აშინებს, კაპიკებს აძლევს და აიწყო, რა, ცხოვრება. არადა, ოდესაში სახლი მაქვს, იმას პატრონობა უნდა, სამჯერ გაუძარცვავთ უკვე. ვინ გაბედავდა, ვიდრე იქ ვიყავი და, მომკალი თუ გინდა, ეგეც იმ ჩეჩენის ამბავი იქნება“, — აფეთქდა გენო.

მის კამერაში სასჯელს კიდევ ერთი თბილისელი იხდიდა. გენო კარგად იცნობდა და ისიც იცოდა, თავის დროზე ზურა მხედრიონში რომ იყო. სწორედ ზურა გადიოდა ორ კვირაში თავისუფლებაზე და გენომაც გეგმა დააწყო — წერილი დაწერა და ზურას უთხრა, ამას თუ ოდესაში ჩაიტან და კონკრეტულ კაცს მისცემ, ხუთი ათასი დოლარი ზედ გაქვს, მგზავრობის ფულის გარდაო. ზურამაც უარი არ თქვა და ორ კვირაში გენოს წერილი თავისუფლებაზე გაიტანა, ერთ კვირაში კი უკვე ოდესაში იყო. წერილმა თავის საქმე გააკეთა, იქაურმა კრიმინალებმა ის ჩეჩენი საქმეს ჩამოაცილეს, ზურამ უკან დაბრუნება აღარ მოისურვა და ნელ-ნელა იმ ბიზნესშიც გაერკვა, რომლის გაკონტროლებასაც გენო აქედან ცდილობდა. თითქოს ყველაფერი დალაგდა, თუმცა გენო ხშირად იმეორებდა, გული ცუდს მიგრძნობს, გააფუჭებს რაღაცას ის ზურაო.

სამი თვეც არ იყო გასული, როცა გენოს ადვოკატთან დაუძახეს. უკან დაბრუნებული დაბერებული ეჩვენა №0578-ს. აშკარა იყო, რაღაც მოხდა. გენომ ცრემლიანი თვალებით გამოხედა და ჩუმად უთხრა: „ის ჩემი თბილისელი „ბრატი“ მოკლეს, მანქანაში ჩაცხრილეს ზურასთან ერთად...“

„და ზურა?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„გადარჩა. ორი ტყვია აქვს მოხვედრილი, მაგრამ გადარჩა. ის ჩეჩენი იზამდა ალბათ“, — თავი დახარა გენომ.

ბიზნესი მთლიანად ზურას ხელში გადავიდა. დაცვა აიყვანა, გენომ თავის სახლში ცხოვრების უფლება მისცა და თავისუფლებაზე №0578-ის გასვლის დროც მოვიდა.

„მომისმინე: შენ ყველას იცნობ, უკვე „უდო“ მეხება და ეგებ, ვინმემ კონკრეტულ თანხად აქედან გამათრიოს. ნახევარ მილიონს მივცემ, ოღონდ აქედან გავიდე“, — უთხრა გენომ.

№0578-მა უხმოდ დაუქნია თავი და როგორც კი თავისუფლებაზე გავიდა, საჭირო ხალხის ძიება დაიწყო. ყველაფერი ორი თვე გაეჭიმა, მაგრამ ბოლოს, მოახერხა და გენოს უდო ყოველგვარი თანხის გარეშე, კანონიერად შეეხო. მართალია, დარჩენილი სასჯელი პირობითში გადაუყვანეს, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა. გამოსვლიდან სამ დღეში, თბილისში ზურა ჩამოვიდა და გენოს სახლში ეწვია. სუფრასთან სამნი ისხდნენ — გენო, ზურა და №0578. მშვიდად საუბრობდნენ, ზურა უკრაინის ამბებს ყვებოდა. ამ დროს ოთახში გენოს მამა შემოვიდა, ბიჭებს მიესალმა და ზურას დანახვაზე გაშეშდა. მერე გენოს მიუბრუნდა და რაც შეიძლებოდა მშვიდად ჰკითხა: ვინ არის ეს კაცი?!

„ჩემი ძმაკაცია, ის, ვინც ოდესაში ჩემს საქმეებს განაგებს“, — მშვიდად უთხრა გენომ და თან ზურას გახედა. აშკარა იყო, მამამისს რაღაც არ მოეწონა და ახლა ის იყო საინტერესო, რა არ მოეწონა.

„არ ენდო ამ კაცს!“ — ჩუმად თქვა მამამ და ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ ზურამ გააჩერა: „იქნებ, მითხრა, რა დაგიშავე, ბიძაჩემო?!“

ის, რაც მერე მოხდა, არავინ ელოდა: გენოს მამა მოტრიალდა და ზურას ჯერ წიხლი ჩააზილა, მერე ხელი გრაფინს წამოავლო და თავზე დააფშვნა. თავიდან სისხლმა იფეთქა, გენო წამოხტა, მამამისს ხელი დაუჭირა, №0578-მა კი ზურას თავზე ნაჭერი დაადო.

„რას აკეთებ? გაგიჟდი შენ?!“ — იღრიალა გენომ.

„ეს ერთ-ერთია იმათგან, ვინც მე მაშინ... მანქანაში... ამის სისხლს დავლევ“, — ისევ ზურასკენ გაიწია მამამ და... გენომ არ გააჩერა, გაოცებით შეხედა ზურას და მამის შეჩერება არც მერე უცდია, როცა მან ზურას უმოწყალოდ დაუწყო ცემა.

„ის მაინც ამიხსენით, რატომ მკლავთ?!“ — განწირული ხმით ყვიროდა ზურა და მასავით დაბნეული იყო №0578-იც.

„გეყოფა, წადი, მე მივხედავ“, — ჩუმად თქვა გენომ, მამამისი ოთახიდან გააცილა, ზურა მანქანაში ჩასვა, №0578 გვერდით მოისვა და მანქანა დაძრა. თავიდან №0578-ს ეგონა, საავადმყოფოში მიდიოდნენ, რადგან ზურას თავზე აშკარად დიდი იარა ჰქონდა, მაგრამ ჯერ ერთ საავადმყოფოს გასცდნენ, მერე — მეორეს და გეზი ე.წ. ზღვის სასაფლაოსკენ აიღეს. სასაფლაოზე მისვლის შემდეგ, გენომ წვალებით, მაგრამ მაინც ხეებს შორის გააძვრინა მანქანა, დიდი ნაძვის ძირში გააჩერა და გადავიდა. ზურა და №0578-იც მიჰყვნენ.

„ადგილი გეცნო?!“ — ჩუმად ჰკითხა გენომ.

ზურამ მიმოიხედა და უარყოფის ნიშნად თავი გადააქნია.

„კარგი, მე გაგახსენებ. მაშინ, შენ რომ მხედრიონში იყავი, აქ შენ და კიდევ ორმა კაცმა მამაჩემი ამოიყვანეთ და...“ — გენომ აღარ დაამთავრა, რადგან ზურას სახეზე შეეტყო, რომ ყველაფერი გაიხსენა და თავი დახარა.

„ახლა შენ გააგრძელე. მე მამაჩემის მონაყოლი ვიცი, შენი მაინტერესებს. ოღონდ გახსოვდეს, მე ყველა დეტალი ვიცი, არაფერი მომატყუო, თორემ აქედან ცოცხალი ვერ წახვალ“, — უთხრა გენომ და ქამრიდან იარაღი ამოიღო. №0578 გაოცდა, ვერ მიხვდა, როდის მოასწრო იარაღის ჩადება გენომ.

„ბოდიში, გენო... ახალგაზრდა ვიყავი მაშინ, არ ვიცოდი, მამაშენი თუ იყო. აღარ მახსოვდა, ხომ დაინახე, ვერც კი ვიცანი“, — გაურკვევლად დაიწყო ზურამ.

„როგორ იცნობდი? მაგ ამბის მერე პარალიჩმა დაარტყა და ყბა მოექცა, სულ გათეთრდა და ასი წლის ბებერს დაემსგავსა. მოყევი-მეთქი“, — შეუტია გენომ, მაგრამ ისე ჩანდა, ზურა არაფრის მოყოლას აპირებდა.

„კარგი, მაშინ მე დავიწყებ და თუ შემეშლება, შემისწორე. მოკლედ, შენ და კიდევ ორმა მამაჩემი გააჩერეთ ღამე, მანქანაში ჩაუსხედით და აქ ამოიყვანეთ. მერე მანქანიდან გადმოაგდეთ, ცემეთ, საბარგულში სამივემ ჩასვარეთ და მერე იმ საბარგულში მამაჩემი ჩაკეტეთ. რომ არ ამოსულიყო, საფლავის ქვები დაამტვრიეთ და ის ქვები დაადეთ საბარგულს. ასე იყო თქვენს განავალში დილამდე, საბარგულში, მერე ვიღაც ღვთისნიერმა იპოვა და გამოუშვა. რამე შემეშალა?!“ — იკითხა გენომ, მაგრამ ზურა ხმას არ იღებდა.

„აღარ შემხვდე, თორემ მოგკლავ“, — ჩუმად თქვა გენომ და მანქანა დაქოქა. №0578 ძმაკაცს უხმოდ გაჰყვა უკან.

***

ამ ამბიდან სამი თვე იყო გასული, როცა ოდესაში გენო დაცვასთან ერთად ჩაცხრილეს. დაცვამ თავდამსხმელებისთვის სროლა მოასწრო და ორი ადგილზე მოკლა. მოკლულებიდან ერთ-ერთი ზურა იყო.

ვერსიანიუსი

## პოლიციამ რუსთავში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დაადგინეს რუსთავში, მეგობრობის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის სავარაუდო ჩამდენი პირი, რომელიც რუსთავში მცხოვრები, 1992 წელს დაბადებული გიორგი მ. აღმოჩნდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი მ-მ თანაკლასელს, 1992 წელს დაბადებულ გვანცა კ-ს, ცივი იარაღით რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა, თავად კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა გიორგი მ. შემთხვევიდან რამდენიმე საათში, კისრის არეში მიყენებული ჭრილობებით, მკვლელობის ადგილიდან დაახლოებით 3 კილომეტრში, უგონო მდგომარეობაში იპოვეს. მას ოპერაცია ჩაუტარდა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

## ახმეტაში უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე ამოიღეს



შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გოჩა გ. ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტზე ამხილეს.

სამართალდამცველებმა, ახმეტის რაიონში, ალავერდის ქუჩაზე გოჩა გ-ს საცხოვრებელი სახლის ეზოდან უკანონოდ მოჭრილი წიფლის ჯიშის პირველი ხარისხის სამასალე მერქანი ამოიღეს. გარემოს მიმართ მიყენებული ზიანი 1348 ლარს შეადგენს.

გამოძიება ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

## შსს აკადემია საქართველოს სუპერლიგის ფინალშია



შინაგან საქმეთა სამინისტროს კალათბურთის გუნდმა „შსს აკადემიამ“ საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალური სერია კლუბ „ბათუმს“ საერთო ანგარიშით 3:0 მოუგო. ფინალურ ეტაპზე გასასვლელად გადამწყვეტი მესამე მატჩი გამოდგა, რომელიც ბათუმის სასპორტო სკოლაში გაიმართა. შეხვედრის ბედი ბოლო მეოთხედში გადაწყდა, როდესაც შსს-ს გუნდმა თამაშში გარდატეხა შეიტანა და საბოლოო გამარჯვება მოიპოვა. გუნდმა მეტოქე ანგარიშით 76:74 დაამარცხა. შეხვედრაში „შსს აკადემიის“ გუნდში საუკეთესო გიორგი ცინცაძე იყო, რომელმაც 21 ქულა დააგროვა, გიორგი შარაბიძემ 19 ქულის მოპოვება შეძლო, ასევე ლიდერის პოზიციაზე ბექა ჩიკვილაძე 14 ქულით აღმოჩნდა.

მომავალი კვირიდან სუპერლიგის ფინალური შეხვედრები გაიმართება. შსს-ს გუნდი „რუსთავსა“ და „დინამოს“ შორის გამარჯვებულს შეერკინება.

„შსს აკადემიის“ კალათბურთელებს შორის საქართველოს ნაკრების 5 მოთამაშეა, ხოლო გუნდის მთავარი მწვრთნელი კოტე ტუღუში ამავე დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტია. „შსს აკადემიის“ აქტივებში 2013 წლის საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულის ტიტულის, წელს კი ისინი ზურაბ საკანდელიძე-მიხეილ ქორქიას მემორიალური ტურნირის გამარჯვებულებიც გახდნენ.

*„ვერსიანიუსი“*

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | | 3 | | 6 | 1 | |
| | | | | | | 5 | | 9 |
| | | | 2 | | | 8 | 3 | |
| 2 | | | | 6 | | | | |
| | 1 | 9 | | | | 2 | 8 | |
| | | | | 7 | | | | 1 |
| | 2 | 7 | | | 6 | | | |
| 1 | | 3 | | | | | | |
| | 8 | 6 | | 4 | | | 9 | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | | | 4 | | 5 |
| 4 | | | | 2 | | | | |
| | 5 | | | | 1 | 7 | 2 | |
| 9 | | 6 | | | 5 | | 4 | |
| | | | | | | | | |
| | 3 | | 6 | | | 9 | | 8 |
| | 4 | 9 | 7 | | | | 6 | |
| | | | | 8 | | | | 1 |
| 1 | | 7 | | | | | 9 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | | 7 | | 3 | 9 | |
| | | | 9 | | | | | |
| 9 | | | | 2 | | 4 | 5 | |
| | | | | | 7 | 6 | 3 | 2 |
| | | | | | | | | |
| 8 | 5 | 7 | 6 | | | | | |
| | 3 | 5 | | 4 | | | | 8 |
| | | | | | 1 | | | |
| | 9 | 4 | | 8 | | 7 | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 5 |
| | | | | 1 | 9 | 8 | | |
| 4 | | 2 | | | 5 | 7 | | |
| | | 5 | | | 3 | | 7 | 2 |
| | 2 | | | 9 | | | 8 | |
| 8 | 7 | | 5 | | | 3 | | |
| | | 7 | 4 | | | 2 | | 8 |
| | | 3 | 9 | 7 | | | | |
| 9 | | | | | | | | |



## ციტრუსი და ბროწეული სიმსივნის წინააღმდეგ

თუ ქალი მიჩვეულია რეგულარულად ჩაის სმას და ხშირად მიირთმევს ციტრუსს, მნიშვნელოვნად ქვეითდება საკვერცხის კიბოს განვითარების ალბათობა, — განაცხადეს აღმოსავლეთ ინგლისის უნივერსიტეტის სწავლულებმა. ამჟამად საკვერცხეების ონკოლოგიური დაავადება, სტატისტიკის მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია სუსტი სქესის წარმომადგენელთა გარდაცვალებისა. ასეთი დასკვნების გაკეთება სპეციალიტებმა მასშტაბური გამოკვლევის შემდეგ შეძლეს, რომელშიც 170 ათასზე მეტი მანდილოსანი მონაწილეობდა (25-დან 55 წლამდე). გაირკვა, რომ იმ ქალებს, რომელთა რაციონშიც მუდმივად იყო ფლავონოიდების შემცველი პროდუქტი, კიბოს განვითარების რისკი 31%-ით უმცირდებოდათ. ყველაზე მეტ ფლავონოიდს შეიცავს ჩაი, ვაშლი, ციტრუსი, წითელი ღვინო, ყურძენი. მედიკოსების მოსაზრებით, ყოველმა ქალბატონმა უნდა ჩართოს რაციონში ეს პროდუქტი — ასეთი ნაბიჯი მნიშვნელოვანი პროფილაქტიკური ღონისძიება იქნება. უფრო ადრე სპეციალისტები აღნიშნავდნენ, რომ კიდევ ერთი სერიოზული ონკოლოგიური დაავადების — სარძევე ჯირკვლების კიბოს განვითარების რისკს ამცირებს ბროწეული. კვლევისას გაირკვა, რომ მის მარცვლებში ისეთი ნივთიერებებია, რომლებიც აფერხებს ესტროგენის წარმოქმნას, ამიტომ სპეციალისტები დაბეჯითებით გვირჩევენ, პროფილაქტიკის მიზნით, სუსტი სქესის წარმომადგენლებმა, რაც შეიძლება, ხშირად მიირთვან ბროწეული.

## ნერვული უჯრედები აღდგება



შვედი მედნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მიუხედავად საყოველთაოდ გავრცელებული მტკიცებულებისა, ნერვული უჯრედები აღდგება. უპსალასა და კაროლინის უნივერსიტეტების მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ ნეიროგენეზი უფროს ადამიანებშიც არსებობს. სპეციალისტებმა ისაუბრეს, ახალი უჯრედები როგორც ცვლიან „ბებრებს“. ეს პროცესი „ზოლიან სხეულში“ — იმ ნაწილში მიმდინარეობს, რომელიც რეფლექსებსა და მოძრაობაზეა პასუხისმგებელი. ახლა მეცნიერები იმის გარკვევას აპირებენ, როგორ შეიძლება ნერვული უჯრედების განახლების პროცესის სტიმულირება. თუკი ამის გარკვევას შეძლებენ, აღმოჩენას ნერვული დაავადების სამკურნალოდ გამოიყენებენ.

## უძილობა გენებზე მოქმედებს



მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ერთი კვირის განმავლობაში არასაკმარისი ძილი ადამიანის ასობით გენისა და უჯრედების ცვლილებებს იწვევს, რაც ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედებს. ეს უკანასკნელი კი ჩვენს მოტივაციასა და აქტივობას განსაზღვრავს. ბოლო პერიოდში ძილის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ორი ახალი კვლევა ჩატარდა. ბრიტანელი მეცნიერები ძილის, როგორც რეგენერაციული (აღმდგენი) ეფექტის კვლევით დაკავდნენ. თუბინგენის უნივერსიტეტის მკვლევართა გუნდი კი მეხსიერების ფორმირებაში ძილის მნიშვნელობას სწავლობს. ძილი საჭიროა ზრდის, განვითარების, ნივთიერებათა ცვლისა და იმუნური სისტემისთვის. ის ეხმარება ადამიანს ნასწავლის გააზრებასა და უკვე არსებულ ცოდნასთან დაკავშირებაში. ორივე კვლევის შედეგი ამტკიცებს, რომ ერთი კვირის განმავლობაში ძილის ნაკლებობა ასობით გენზე მოქმედებს, რომლებიც უშუალო კავშირშია იმუნურ სისტემასთან, ანთებით პროცესებსა და სტრესულ რეაქციებთან. ეს კვლევა პირველია, რომელმაც ამომწურავად შეისწავლა, რამდენ გენზე ახდენს გავლენას ძილის ქრონიკული ნაკლებობა. სწავლულების განცხადებით, ერთი კვირის განმავლობაში მუდმივად გამოუძინებლობა, საერთო ჯამში, 711 გენზე მოქმედებს, რაც ადამიანის გენეტიკაში არსებული, დაახლოებით 23 ათასი გენის 3,1%-ია. კვლევის თანახმად, ძილის ნაკლებობა ასევე მოქმედებს გენების აქტიურობაზე, რაც დღისა და ღამის რიტმულობას განსაზღვრავს. იმ გენებზე, რომლებიც მეტაბოლიზმს აკონტროლებენ. სხვა კვლეებით კი, ძილის ნაკლებობასა და ზედმეტ წონას შორის კავშირი უკვე დადასტურებულია.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 8 | 5 | 3 | 4 | 9 | 6 | 1 |
| 6 | 4 | 9 | 2 | 7 | 1 | 5 | 3 | 8 |
| 3 | 1 | 5 | 9 | 8 | 6 | 4 | 7 | 2 |
| 5 | 9 | 4 | 3 | 6 | 2 | 8 | 1 | 7 |
| 2 | 6 | 1 | 8 | 9 | 7 | 3 | 5 | 4 |
| 8 | 7 | 3 | 4 | 1 | 5 | 2 | 9 | 6 |
| 1 | 8 | 2 | 7 | 5 | 9 | 6 | 4 | 3 |
| 4 | 5 | 7 | 6 | 2 | 3 | 1 | 8 | 9 |
| 9 | 3 | 6 | 1 | 4 | 8 | 7 | 2 | 5 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 9 | 8 | 5 | 4 | 1 | 3 | 2 |
| 3 | 4 | 5 | 6 | 1 | 2 | 9 | 8 | 7 |
| 2 | 1 | 8 | 9 | 7 | 3 | 5 | 6 | 4 |
| 8 | 7 | 1 | 5 | 2 | 6 | 4 | 9 | 3 |
| 9 | 5 | 3 | 4 | 8 | 1 | 7 | 2 | 6 |
| 6 | 2 | 4 | 3 | 9 | 7 | 8 | 5 | 1 |
| 1 | 9 | 7 | 2 | 6 | 8 | 3 | 4 | 5 |
| 5 | 3 | 6 | 7 | 4 | 9 | 2 | 1 | 8 |
| 4 | 8 | 2 | 1 | 3 | 5 | 6 | 7 | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 3 | 4 | 2 | 9 | 1 | 8 | 7 |
| 4 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 | 5 | 3 | 9 |
| 8 | 7 | 9 | 5 | 3 | 1 | 4 | 2 | 6 |
| 9 | 4 | 2 | 1 | 5 | 8 | 6 | 7 | 3 |
| 7 | 8 | 6 | 3 | 9 | 4 | 2 | 5 | 1 |
| 1 | 3 | 5 | 7 | 6 | 2 | 9 | 4 | 8 |
| 3 | 1 | 4 | 6 | 8 | 5 | 7 | 9 | 2 |
| 5 | 9 | 8 | 2 | 1 | 7 | 3 | 6 | 4 |
| 2 | 6 | 7 | 9 | 4 | 3 | 8 | 1 | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 8 | 1 | 7 | 4 | 9 | 6 | 3 | 2 |
| 3 | 2 | 4 | 1 | 8 | 6 | 9 | 7 | 5 |
| 6 | 9 | 7 | 5 | 3 | 2 | 8 | 1 | 4 |
| 2 | 4 | 8 | 6 | 9 | 3 | 7 | 5 | 1 |
| 1 | 7 | 3 | 4 | 5 | 8 | 2 | 9 | 6 |
| 9 | 6 | 5 | 2 | 1 | 7 | 4 | 8 | 3 |
| 7 | 5 | 9 | 3 | 6 | 4 | 1 | 2 | 8 |
| 8 | 1 | 6 | 9 | 2 | 5 | 3 | 4 | 7 |
| 4 | 3 | 2 | 8 | 7 | 1 | 5 | 6 | 9 |

მე-10 გვერდი: 1. აფლინა; 2. ფუძიამა; 3. ლელქაში; 4. ნაბლა; 5. სტატუსი; 6. ტონა; 7. ტიტიკაკა; 8. სტრაბონი; 9. კარავაი; 10. რადამესი; 11. ვაზა; 12. აბულაძე; 13. აკრიბია; 14. აკადემია; 15. აპიტოქსინი; 16. ტრიტონი; 17. კაკაპო; 18. მაშა; 19. მრგვალი; 20. იშიასი; 21. აბაკა; 22. იადონი; 23. მირდატი; 24. აკინი; 25. სილოსი; 26. სადიზმი; 27. არშია; 28. იაგანი; 29. დომკრატი; 30. ნიშადური; 31. ბანანი; 32. გილგამეში; 33. იუანი; 34. წრფე; 35. მუქთა; 36. თარი; 37. სუმო; 38. ავაზა; 39.კრაუჩი; 40. კაი; 41. ნასა; 42. აწი; 43. სან; 44. ლისი; 45. კლიპი; 46. რადა; 47. არე; 48. რაპირა; 49. ნაი; 50. მერმისი; 51. პაზლი; 52. სტარი; 53. გნუ; 54. პოლ; 55. იურთი; 56. კრეოლი. 57. ნინო.

მე-12 გვერდი: 1.გალანტერეა; 2. შულერი; 3. გერონტოლოგია; 4. ლაპი; 5. ნარი; 6. შვეიცარია; 7. ლაბირინთი; 8. რიზე; 9. გნუ; 10. ურბანიზმი; 11. რუპორი; 12. ემბაზი; 13. ირაო; 14. ელვა; 15. არნო; 16. „ფლეიბოი“; 17. ლორი; 18. ტრალი; 19. ცერი; 20. „ალანია“; 21. ერბო; 22. მინორი; 23. რონა; 24. იგი; 25. ბონი; 26. ტრევერსი; 27. დეჰყანი; 28. თომა; 29. ძნა; 30. ოტელო; 31. დოდეკაედრი; 32. ჰიპოპოტამი; 33. ნეპალი; 34. ატაკამა; 35. იზმირი; 36. დიპლიპიტო; 37. ანი; 38. მაო; 39. ზრო; 40. ვაზი; 41. ეოლე; 42. საჰარა; 43. ოდისევსი; 44. ლიე; 45. პიკი; 46. სოკო; 47. კალჩო; 48. ელბა; 49. სლენგი; 50. ვილა; 51. ნიკალა; 52. აბანო; 53. მესტია; 54. ემი; 55. მუფასა; 56. ჩია; 56. ისარა; 57. ვალაბი; 58. აისი; 59. ალდონსა; 60. გრემი; 61. მავასი; 62. ფელაჰი; 63. საგა 64. არისა; 65. ჩია; 66. ტრიო; 67. გომბიო; 68. ტინი; 69. ბრონსონი; 70. ანკარა; 71. შოუ. 72. ნოხი; 73. იონი; 74. ანოა; 75. მაია; 76. აგა; 77. ია; 78. კანო; 79. კაა; 80. „ასკანიო“; 81. ეხი; 82. კოკაი; 83. „კია“; 84. ამატი; 85. სუ; 86. კაკადუ; 87. ქნარი.

1. საჯაროდ წარმოთქმული სახოტბო სიტყვა
2. პოპულარული სიმღერებით შედგენილი ნაწარმოები
3. თხევადი წამლის ჩასაწვეთებელი მილაკი
4. მეფე დავით VI
5. ოსკარ უაილდის დორიანი
6. ბოსტნეული
7. ტანზე მომდგარი უსაყელო ჯემპრი
8. ცალნახადი, სუსტი არაყი
9. იაპონური აბანო
10. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
11. „ბებერი კონტინენტი“
12. ანდების უმ. მწვერვალი
13. ერთგვარი ავსტრალიური ხვლიკი
14. მოცარტის ოპერა
15. ღმერთების საჭმელი ბერძნულ მითოლოგიაში
16. პირენეის მთების უმაღლესი მწვერვალი
17. იგივეა, რაც მერიქიფე
18. გოლიათი ქართულ ხალხურ ზღაპრებში
19. პალმის ერთ-ერთი ჯიში
20. ოტელოს მტერი
21. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი
22. „მარადიული ქალაქი“
23. ქართული საბჭოთა საესტრადო კოლექტივი
24. შიში სიახლის, ცვლილებების წინაშე
25. ცხენის გასარეკი შეძახილი
26. თიხის ცალყურა ფართოპირიანი ჭურჭელი
27. „ბაში-აჩუკის“ ავტორის სახელი
28. ფუტკრის სახლი
29. ნერონის აღმზრდელი ფილოსოფოსი
30. ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში
31. ტიბეტური ხარი
32. რიაზანოვის ფილმი
33. ამერიკელი ვირტუოზი ჯაზ-პიანისტი
34. მოძრაობა ქალთა უფლებების აღიარებისათვის
35. გათხოვილი ქალისადმი მიმართვა სკანდინავიაში
36. დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალი
37. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
38. განყოფილების სათაური გაზეთში
39. იაპონელი თვითმკვლელი მფრინავი
40. სამხრეთ-ამერიკული წიწვოვანი ხე
41. რუსული ჯიპი
42. ეკლიანი ბალახი
43. სამკურნალო ბალახოვანი მცენარე
44. ექთანი „თეთრ ბაირაღებში“
45. რბილი ჭედადი ლითონი
46. ბანქოს ფიგურა
47. შექსპირის „მეფე ...“
48. გვინეის დედაქალაქი
49. სოფელი ონის რაიონში
50. წვიმის ლაბადის ნაირსახეობა
51. დაკოდილი ცხენი
52. ფართობის ერთეული
53. კარის საკეტი, ურდული
54. ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა
55. საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან
56. „იქ“ - ძველ ქართულში
57. პარტია ჩოგბურთის თამაშში
58. თავფარ-თომილი ბოთლში სითხის ჩასასხმელად
59. კურკოვანი ხილი
60. ტბა ფინეთში
61. ხელის საგრილობელი
62. ვორობიანინოვის სახელი „12 სკამში“
63. ტანსაცმლის გულისპირის შესაკრავი
64. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
65. ბიბლიური პატრიარქი
66. ბედისწერის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
67. ქართული ცეკვა
68. იგივეა, რაც გაზი
69. ფრანგი ფერმწერი
70. გარეული ფრინველი
71. მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი
72. სამხედრო კავშირი პირველ მსოფლიო ომში
73. მახრჩობელა გველი
74. პუშკინის გადიის სახელი
75. დილის მგალობელი ფრინველი
76. ძვირფასი სამშენებლო ქვა
77. ოქროს ურდოს სარდალი
78. ავტორისეული შენიშვნები დრამატულ ნაწარმოებში
79. ძვლოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
80. მიხოს ცოლი კახურ ანეკდოტებში
81. მდინარე ყაზახეთსა და ჩინეთში
82. სახოტბო ლექსი
83. კონსტანტინე არსაკიძის ეროვნება
84. პატარა დროშა
85. გიტარის მავთული
86. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი



# მკერდის კიბოს ოპერაციის გარეშე განკურნავენ

მეცნიერთა ჯგუფი ნისლიანი ალბიონიდან მკერდის კიბოს მკურნალობის ინოვაციურ მეთოდზე მუშაობს, რაც ინვაზიური ჩარევის გარეშე გამოჯანმრთელებას ითვალისწინებს. ახალი მეთოდის საფუძველი ცილა DACH1-ია. ეს ნაერთი ძლიერი იმუნური მოქმედებით გამოირჩევა და ებრძვის სიმსივნეს. მიიჩნევენ, რომ პაციენტის სისხლში ამ ცილის არსებობა სასწრაფო ოპერაციის გადადების საფუძველი შეიძლება გახდეს. სასწრაფო ქირურგიული ცარევა, სპეციალისტების განცხადებით, მათ სჭირდება, ვისთანაც ეს ცილა არ არსებობს. ახალი მეთოდიკის ძირითადი პლუსი სერიოზული სამედიცინო ჩარევების დანიშვნის რაციონალურობაა, რასაც შესაძლოა, გვერდითი ეფექტები და გართულებები მოჰყვეს. რასაკვირველია, ონკოლოგია სერიოზული სფეროა და კიდევ დიდი დრო გავა იმ მომენტამდე, კიბოს მკურნალობის ახალი მეთოდი რომ მოიწონონ და გამოიყენონ. თუმცა, სპეციალისტები ახლავე საუბრობენ მკერდის კიბოს მკურნალობაში წინგადადგმულ ნაბიჯზე. აღვიშნავთ, რომ ცილა DACH1-ს დიდი კონცენტრაცია — პრაქტიკულად გარანტიაა კიბოს აგრესიული ფორმის არარსებობისა.




ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.